3-47

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი



მუშათა საქმისათვის იყავ მზად!

# პიონერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი ბავშვთათვის.

№ 21-22

ნოემბერი 1932

წელიწადი მე-7

რედაქციის მისამართი: ალმასკომის ქ., № 7. სახელგამი, საყმაწვილო და საბავშვო სექტორი

## გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლუციის 15 წლისთავს

### შინაარსი

1. ოქტომბრის 15 წელი . . . . . . . . . . 1
2. ბოლშევიკებმა უნდა ხელისუფლება . . . . . . 3
3. ოქტომბერი—ქაროვი . . . . . . . . . . 4
4. დიდი ზეიმი—ლავრ. ქიქინაძე . . . . . . . . 6
5. ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელსადგური—ს. . . . . 7
6. დიდი საკოლმეურნეო ბაზრობა ტფილისში—ს. ყაზ.-ლი . . . 9
7. ოქტომბრის დილა—ლექსი დ. შამათავა . . . . . . 9
8. ელექტრომავლის დაბადება—შ. ბუაჩიძე . . . . . . 11
9. ჩვენი მიღწევები ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავზე . . 12
10. საოქტომბრო გაზეთისათვის—ლექსი გ. კაჭახიძე . . . . 14
11. საოქტომბრო ზეიმი—ლექსი გ. შატბერაშვილი . . . . 15
12. საზოგადოება „ბავშთა მეგობრის“ საქმიანობის შესახებ—არკადი ხუნდაძე . . . . . . . . . . 15
13. თვითეული მოწაფე და მოწაფე პიონერი უნდა იცნობდეს ცეკას 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილებას . . . . . . 17
14. საზღვარზე—(ეპიზოდი,—ს. პრეობრაჟენსკის „ახალი დრო“-დან,—თარგ. ნ—ის . . . . . . . . . . 20
15. განცხადება—ყდაზე . . . . . . . . . .

სარედაქციო კოლეგია: ან. გველესიანი, ქ. მელაძე, შ. თაბუკაშვილი, ვ. ლომიძე, ირ. აბაშიძე, ბ. ბარსეგიანი, გრ. გიორგაძე.

პასუხისმგებელი რედაქტორი ქ. მელაძე



# ოქტომბრის 15 წელი

სოციალისტური შემოქმედების და ბრძოლის თხუთმეტმა წელმა საბჭოთა ქვეყნის გიგანტიური მშენებლობის, კაპიტალისტური გარემოცვის და გამწვავებულ კლასთა ბრძოლის პირობებში განვლო. ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მიღწევებსა და წარმატების ნიადაგზე შეიცვალა ძალთა განწყობილება საბჭოთა კავშირსა და იმპერიალისტურ ბანაკს შორის და ეს შეცვლა მოხდა საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის სასარგებლოდ. ხუთწლედის გრანდიოზული გამარჯვებები ძლს უფრთხობს მთელი ქვეყნის მუქთახორებს, და ძლიერდება იმპერიალისტური ომების და ინტერვენციის სამზადისი.

ომებისა და რევოლუციების შემდეგ დაწყებულს კაპიტალიზმის დროებით სტაბილიზაციას (აყვავებას) ბოლო მოეღო, და ახლა, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიური კრიზისის სამი წლის შემდეგ, მისი კვალიც აღარ ჩანს და აღრმავებს რევოლუციონურ მოძრაობას მშრომელთა ფართო მასებში. „კაპიტალისტები ამ კრიზისიდან გამოსავალს ომში ეძებენ,“ განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ამბობდა ამხ. სტალინი, ხოლო პროლეტარიატი გამოსავალს ეძებს მსოფლიო ოქტომბერში და იბრძვის საბჭოთა კავშირის დასაცავად. საბჭოთა კავშირმა, რომელიც მშვიდობიანობის სადარაჯოზე დგას, დაიმსახურა პროლეტარიატის და კოლონიების დაჩაგრულ ხალხთა მილიონიანი მასების სიმპატიები. მთელი ქვეყნის მოწინავე ინტელიგენციაც შეგნებულად დადგა საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე. ამხ. მოლოტოვი მე-17 პარტკონფერენციაზე ამბობდა: „უკვე ცნობილია, რომ როლანი, საფრანგეთის მწერალი - ხელოვანი, არის ბურჟუაზიული საზოგადოების მკაცრი კრიტიკოსი და ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის მეგობარი. აგრეთვე ცნობილია, რომ ამერიკის ერთ-ერთმა საუკეთესო მწერალმა ეპტონ-სინკლერმა აშკარად გაილაშქრა კაუც-
ლერმა აშკარად გაილაშქრა კაუცკის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დასაცავად. ჩვენთვის შორეული ინგლისელი ბურჟუაზიული მწერალი ბერნარდ შოუ საბჭოთა კავშირის დათვალიერების შემდეგ გამოვიდა მამხილებელი წერილებით ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ, რომელსაც მან დაუპირისპირა საბჭოთა კავშირის ზრდა და წარმატება. ცალკე პირთა მიერ კავშირის გაწყვეტას ბურჟუაზიასთან და სხვების ნაწილობრივ გათიშვას მასთან, ალბათ, ადგილი ექნება. შემდეგშიაც მეცნიერების და ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის, განსაკუთრებით კაპიტალისტური საზოგადოების ლპობის გაძლიერებასა და საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის კიდევ მეტად განვითარებასთან დაკავშირებით“.

ძლიერდება და ფართოვდება მსოფლიო სასაკლაოს — იმპერიალისტური ომის — საწინააღმდეგო ფრონტი. ამსტერდამის ომის საწინააღმდეგო საერთაშორისო კონგრესი ამის აშკარა მაჩვენებელია.

ქვეყნებმა დაინახეს, პროლეტარიატმა თავის ზურგზე გადაიტანა მთელი ომების სიმძიმე, მისი სისხლიანი სახე. ამიტომ იცავს იგი საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკას და ერთადერთ სოციალისტურ სამშობლოს, სადაც შენდება ძლევამოსილი სოციალიზმი.

საბჭოთა კავშირის მოზარდი პიონერები მთელი მსოფლიოს პროლეტარულ ახალგაზრდობასთან ერთად, რომელთაც თუმცა თავის ზურგზე არ განუცდიათ ომის სისხლიანი თარეში. მაგრამ კარგად იციან ამგვარი ომის შინაარსი. იზრდებიან სოციალიზმის დასაცავად მსოფლიო ოქტომბრის ჯარისკაცები.

გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ საბჭოთა რესპუბლიკების მშენებლობა. ეს ამბავი უკვე არავისთვის არაა საიდუმლო თვით ჩვენი მოსისხლე მტრებისაც კი არა ირთხელ აღიარებენ ჩვენს წარმატებებს. ხუთწლედის ოთხ წელში შესრულება ხდება საოცრებად ბურჟუაზიული ქვეყნებისათვის. შენდება მრავალი გიგანტი ® როგორც თვით ცნობილი კონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. მოლოტოვი. ი. სტალინი და კაგანოვიჩი

სერვატორიც სტილ - მეიტლენდი აღიარებს, საბჭოთა კავშირში თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებათა გაზიარების დროს, „რუსეთი ახდენს ახალ ინდუსტრიალურ რევოლუციას; სურს თუ არა ეს კაპიტალისტებს, საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის დიადი ცდა, როგორც ჩანს, წარმატებით დამთავრდება“.

დიახ, წარმატებით მთავრდება სოციალისტური ქვეყნის ყველა მედგარი წამოწყება, ყოველგვარი ცდა მის ჩასაშლელად ამაოა და მარცხდება. უდიდესი გიგანტები მსოფლიოში: დნეპროსტროი, კუზბასი, მაგნიტოსტროი და მრავალი სხვა აიმართენ, რომ თითქოს გადასძახონ ქვეყანას სოციალიზმის გამარჯვება.

თხუთმეტი წლის თავზე მოზეიმეთა რიგში დგებიან ათასეული ფაბრიკა - ქარხნები, ელექტროგიგანტები და მოაქვთ ჩვენი ქვეყნის აყვავებული მრეწველობა.

ოქტომბრის თხუთმეტი წლის თავზე მოზეიმეთა რიგებს მიჰყვებიან ათასეული მხიარული მეურნე გლეხთა კოლექტივები და საბჭოთა მეურნეობანი, ვისთვისაც გამარჯვებულმა ოქტომბერმა შექმნა სრულიად ახალი სატრაქტორო მრეწველობა. „პრავდა“ წერს: „საბჭოთა კავშირში ტრაქტორების გამოშვების შედარება ომის წინადროის, რევოლუციის წინადროის დონესთან შეუძლებელია სრულიად უბრალო მიზეზის გამო: რუსეთში არას დროს არ ჰქონია ადგილი ტრაქტორების წარმოებას, ოქტომბერმა მისცა იგი რუსეთს. 1925 წელს 538 ტრაქტორი, 1926 წელს—910. 1927 წ. — 874, 1928 წ.—1491, 1929 წ. — 4569. 1930 წ.—12.727, 1931 წ.—39.879. 1932 წ.—9 თვის და 26 დღის განმავლობაში—40.163 ტრაქტორი.

აი ჩვენი წინსვლის და გამარჯვების ციფრები, რაიც საკმარისად მიგვაჩნია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ახდენს საბჭოთა კავშირი ინდუსტრიალურ რევოლიუციას და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნას.

თხუთმეტი წელი განვლეთ სოციალისტურ ბრძოლასა და შემოქმედებაში, და დღეს არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელებს, არამედ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს საფუძველი აქვთ ენტუზიაზმით იდღესასწაულონ დიადი წლისთავი.

ამიტომ არის, რომ მთელი ქვეყნის მშრომელნი გაფაციცებით ემზადებიან ქალაქების მუშათა რაიონებში, მართავენ მთელ რიგ მასობრივ კრებებს, სადაც იკითხება მოხსენებები ჩვენი მიღწევების შესახებ.

საფრანგეთის კომპარტიის ორგანომ, „ლიუმანიტე“-მ გამოაქვეყნა მე-146 ქვეითი ლეგიონის ჯარისკაცების ჯგუფისაგან მიღებული წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავის გამო ჩვენ, ქ. მეცას მე-146 ლეგიონის ჯარისკაცები მოვალეობად ვთვლით გავუგზავნოთ ძმური სალამი ოქტომბრის ყველა მებრძოლებს და ვაცხადებთ, რომ წითელ არმიას შეუძლია ჩაგვთვალოს ჩვენ თავის მებრძოლთა რიგებში.

# „ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება"

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთში ხელისუფლება ბურჟუაზიას გადასცა. ბურჟუაზიულ ხელისუფლებას, რასაკვირველია, არ შეეძლო აჯანყებული ხალხისათვის მიეცა ის, რასაც ისინი მოითხოვდნენ: პური, ზავი და თავისუფლება. ამის გამო მუშების, ჯარისკაცების და გლეხების რევოლუციური მოძრაობა, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, თანდათან ფართოვდებოდა. მასები, რომლებიც დღემდე ესერებ - მენშევიკების ბელადებს, დროებითი მთავრობის წევრებს: ჩხეიძეს, წერეთელს, ჩერნოვს, გოცის, და მთავრობის თავმჯდომარეს კერენსკის მიჰყვებოდნენ, ამჟამად თანდათან სცილდებოდნენ თებერვლის რევოლუციის იდეებს და ბოლშევიკების ირგვლივ ირაზმებოდნენ. ყველაფერი ეს იმდენად სწრაფად ხდებოდა, რომ სექტემბერში ბოლშევიკების მხარეზე ჯარის ცხრა მეათედი და მოსახლეობის უმრავლესობა იყო.

ბოლშევიკური მოძრაობის ხელმძღვანელი და ოქტომბრის რევოლუციის ბელადი ვლადიმერ ლენინი, ამ დროს არალეგალურ პირობებში ცხოვრობდა. რუსეთში შექმნილი, პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, რომელსაც გარდა ზემოაღნიშნულ რევოლუციურ ბოლშევიკური განწყობილებისა, თან ერთოდა დროებითი მთავრობის გართულებული საერთაშორისო მდგომარეობა, ის წერს წერილს „ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ძალაუფლება". დასახელებულ წერილში ლენინი წერდა: „ბოლშევიკებს შეუძლიათ და უნდა აიღონ კიდეც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება". ლენინი ამ დებულებას რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის მათემატიკური გამოანგარიშებით ამტკიცებდა და ასკვნიდა: „ისტორია არ გვაპატიებს, თუ ახლა არ ავიღებთ ხელისუფლებას".

ეს წერილი იმდენად დიდი მნიშვნელობის მქონეა რუსეთის დიდი ოქტომბრის რევოლუციის ისტორიისათვის, რომ მას უნდა იცნობდეს ყველა პიონერი. ამიტომ წერილი მთლიანად მოგვყავს:

## „ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ხელისუფლება

წერილი რ.ს.-დ.მ.პ. (ბ) ც.კ.პ.კ. და კმ.

რადგან ბოლშევიკები ორივე დედაქალაქის მუშათა, ჯარისკაცთა, დეპუტატების საბჭოებში უმრავლესობას შეადგენენ, ამიტომ მათ შეუძლიათ და უნდა აიღონ კიდეც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება.

შეუძლიათ, ვინაიდან ორივე დედაქალაქის მოსახლეობის რევოლუციური ელემენტების აქტიური უმრავლესობა საკმაოა იმისათვის, რომ მასები გაიყოლს, მოწინააღმდეგის წინააღმდეგობა დაძლიოს, დაამარცხოს იგი, ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება, და შეინარჩუნოს იგი. რაკი ახლავე დემოკრატიული ზავის ჩამოგდებას მოვიწადინებთ, რაკი ახლავე მიწას გლეხებს დავურიგებთ და აღვადგენთ დემოკრატიულ დაწესებულებებს და თავისუფლებას, რომელიც კერენსკიმ გაქელა და დათრგუნა, ბოლშევიკები შექმნიან ისეთს მთავრობას, რომელსაც **ვერავინ** დაამხობს.

ხალხის უმრავლესობა **ჩვენს** მხარეზეა. ეს დაგვიდასტურა გრძელმა და ძნელმა გზამ მაისის 6-დან აგვისტოს 31-სა და სექტემბრის 12-მდე: დედაქალაქების საბჭოებში მოპოებული უმრავლესობა **ნაყოფია ჩვენსკენ მომავალი გზით** ხალხის განვითარებისა. ესერებისა და მენშევიკების მერყეობა, მათ შორის ინტერნაციონალისტების გაძლიერება ამასავე ადასტურებს.

დემოკრატიული თათბირი რევოლუციური ხალხის უმრავლესობას არ წარმოადგენს, არამედ **მხოლოდ შემთანხმებელ წვრილბურჟუაზიულ ზედაფენებს.** არჩევნების ციფრებით თავი არავის უნდა მოვატყუებინოთ, საქმე არჩევნები როდია: შეადარეთ ერთმანეთს პეტერბურგისა და მოსკოვის ქალაქის თვითმართველობათა არჩევნები და საბჭოთა არჩევნები. შეადარეთ მოსკოვის არჩევნები და მოსკოვის გაფიცვა აგვისტოს 12-ს: აი ობიექტური ცნობები რევოლუციური ელემენტების უმრავლესობის შესახებ, რომელსაც მასები თავისკენ მიჰყავს.

დემოკრატიული თათბირი ატყუებს გლეხობას და არც ზავს აძლევს მას, არც მიწას.

გლეხობას **მხოლოდ** ბოლშევიკური მთავრობა დააკმაყოფილებს, რატომ უნდა აიღონ ბოლშევიკებმა ხელისუფლება სწორედ **ახლა?** იმიტომ რომ პეტერბურგის მოსალოდნელი დატოვება ჩვენს შანსებს 100-ჯერ მაინც გააუარესებს, პეტერბურგის დატოვებას კი ჩვენ ხელს ვერ შევუშლით, თუ გავითვალისწინებთ იმ არმიის ძალებს, რომელსაც სათავეში მოექცევიან კერენსკი და, ძმანი მისნი.

დამფუძნებელი კრების „ლოდინიც" ვერ გვექნება, ვინაიდან იმავე პეტერბურგის დატოვებით კერენსკი და კომპანია ყოველთვის **შეძლებენ** მის **ჩაშლას;** მხოლოდ ჩვენს პარტიას, როცა ხელისუფლებას დაეპატრონება, შეუძლია უზრუნველჰყოს დამფუძნებელი კრების მოწვევა, და რაკი ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებს, ჩვენი პარტია სხვა პარტიებს საქმის განგებ გაჭიანურების ბრალს დასდებს და დაუმტკიცებს კიდეც ამ ბრალდებას.

ინგლისელი და გერმანელი იმპერიალისტების სეპარატიულ ზავს ხელი უნდა შეეშალოს: ეს მოსახერხებელია კიდეც, მხოლოდ საჭიროა სწრაფი მოქმედება.

მენშევიკებისა და ესერების ყოყმანმა ხალხი დაქანცა; გლეხებს მოიმხრობს და გაიყოლიებს მხოლოდ ჩვენი გამარჯვება დედაქალაქებში.

საკითხი შეეხება აჯანყების „დღეს" კი არა, არა ვიწროდ გაგებულ „მომენტს". ამას გადაწყვეტს მხოლოდ საერთო ხმა მათი, ვისაც კავშირი აქვს მუშებსა და ჯარისკაცებთან, **მასებთან.**

საკითხი იმას შეეხება, რომ ჩვენს პარტიას ახლა დემოკრატიულ თათბირზე გამართული აქვს ფაქტიურად **თავისი ყრილობა,** და ამ ყრილობამ უნდა გადაწყვიტოს (სურს თუ არა, ასე უნდა მოიქცეს) რევოლუციის ბედ-იღბალი.

საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ **ამოცანა** პარტიისათვის ნათელი გახდეს: დღის წესრიგში დაისვას **შეიარაღებული აჯანყება** პეტერბურგსა და მოსკოვში (ოლქიანად), ხელისუფლების დაპყრობა, მთავრობის დამხობა, მოვისაზროთ, თუ **როგორ** გავწიოთ აგიტაცია ამ საქმისათვის, პრესაში კი ასე არ ვილაპარაკოთ

გავიხსენოთ, ავწონ-დავწონოთ მარქსის სიტყვები აჯანყების შესახებ: „აჯანყება ხელოვნებაა" და სხვა.

გულუბრყვილობა იქნება ლოდინი, რომ ბოლშევიკებს „ფორმალური" უმრავლესობა ჰყავდეთ: არც ერთი რევოლუცია **ამას** არ მოელის. კერენსკიც და მისი კომპანიაც კი არ ელიან, არამედ ამზადებენ პეტერბურგის დატოვებას. სწორედ „დემოკრატიული თათბირის **საბოლოო** მერყეობამ უნდა გამოიყვანოს და

გამოიყვანს კიდეც მოთმინებიდან პეტერბურგისა და მოსკოვის მუშებს.

ისტორია არ გვაპატიებს, თუ ახლა ხელისუფლებას არ ავიღებთ.

აპარატი არა გვაქვს? გვაქვს აპარატი: საბჭოთა და დემოკრატიული ორგანიზაციები. საერთაშორისო მდგომარეობა **სწორედ** ახლაა **ჩვენთვის** ხელსაყრელი, ინგლისელებისა და გერმანელების სეპარატიული ზავის **წინადღეებში.** ერებისათვის ზავის მინიჭება სწორედ ახლა **გამარჯვებას** ნიშნავს.

ავიღოთ ხელისუფლება უცებ მოსკოვშიც და პეტერბურგშიც. მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვინ დაიწყებს: იქნება მოსკოვმაც შეძლოს დაწყება, ჩვენ **უსათუოდ და უეჭველად გავიმარჯვებთ.**

**ვ. ლენინი.**

ეს წერილი ლენინმა სექტემბრის პირველ რიცხვებში დაწერა (25—27 აგვისტოს ძველი სტილით). მას შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდენ ლენინის მიერ აღნიშნული რევოლუციის მომამზადებელი პირები. მუშები ჯარისკაცებთან ერთად უფრო მტკიცედ ირაზმებოდენ პროლეტარულ რევოლუციის სადარაჯოზე და დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, მაგალითად: 25 სექტემბერს (ახალი სტილით 7 ოქტომბერს). პეტერბურგის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნების დროს, მუშებისა და გარნიზონის მიერ ერთ-ერთ მოხსენების ირგვლივ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„ბურჟუაზიულ და კონტრ - რევოლუციური ძალადობის მთავრობას ჩვენ, პეტერბურგის მუშები და, გარნიზონი, არავითარ დახმარებას არ აღმოვუჩენთ. ჩვენ გამოვთქვამთ ღრმა რწმენას, რომ ცნობა ახლად არჩეული მთავრობის შესახებ რევოლუციური დემოკრატიის მხრივ მიიღებს მხოლოდ ერთ პასუხს: „ძირს“.

და ეს ასეც მოხდა:

1917 წლის 7 ნოემბერს (ძველი სტილით 25 ოქტომბერს) მუშებმა და ჯარისკაცებმა დაამხეს ბურჟუაზიის დროებითი მთავრობა. ამავე დღეს საბჭოების მეორე ყრილობამ დაადგინა ძალაუფლების ხელში აღება, საბჭოების იმავე ყრილობამ გამოსცა დეკრეტი ზავის დაწყარების და მემამულეების მიწების გლეხებისთვის უფასოდ გადაცემის შესახებ. 1918 წლის იანვრის მესამე ყრილობამ კი, მიიღო „მშრომელის და ექსპლოტირებული ხალხის დეკლარაცია“.

ასე დასრულდა რუსეთის თვითმპყრობელობის და მისი მიმდევნო ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ისტორია, ასე დაიპყრეს ხელისუფლება ბოლშევიკებმა. მას შემდეგ 15 წელმა განვლო და ეს 15 წელი სოციალისტური მშენებლობის თუთხმეტ უზარმაზარ სადღესასწაულო წარმოადგენს, რომელიც მრავალ გრანდიოზულ მიღწევით ხასიათდება. როგორც სოციალისტური ინდუსტრიის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფრონტებზე.



საკოლმეურნეო ვაჭრობა ტფილისში.

ა. ჟაროვი

# ოქტომბერი

ოქტომბერია... აფეთქდა გული,
წამოიშალა ფიქრების ჯარი,
თუ შემოდგომის ცას ჯანყი
უვლის,
თვალებში სხვისი დაინთო ალი.

—:—

ოქტომბერია..
თითქოს ძლიერი ქარი მოვიდა...
აბობოქარდა ტალღების გროვა...
ვინ დაივიწყებს, როცა სმოლნიდან
აფრიალეს
ოქტომბრის დროშა.

—:—

ქვეშეხმა გვამცნო დიდი ამბავი,
როცა „ავრორა“
ჩევაზე დადგა.
მყისვე ასწია დროშები მაღლა,
ყველა ქარხანამ, ქალაქმა, დაბამ,

—:—

ბუშლატიანი ხალხის ნაკადით
აივსო ქუჩა, და ხალხის ზღვა
დუღდა, როდესაც დიდმა ბელადმა
აჯანყებისთვის
ბრძანება გასცა.

—:—

ოქტომბერია...
მრავალი ფიქრი, საქმე და ნდობა...
ეს მოგონება გვერდს აღარ
გვივლის...
შეიქნა ჩვენთვის ის შემოდგომა
ბრძენი მშობელი,
და პირმშო შვილი.



ა. კ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ზეიმი



წლობით გაგრძლდა მსოფლიო პროლეტარიატის სისხლის ღვრა. სისხლით შეღება მდინარეები, სისხლით გაივსო დედამიწის ნაპრალები. მშრომელი მოსახლეობის ოჯახები უპატრონოთ დარჩა. ისინი ხედავენ, რომ ზარბაზნების მთელი წლობით გრიალმა შექმნა: შიმშილი, უბედურება.

ბიდის ვიღაცის წერილი, რომელიღაც შორეული ფრონტიდან, სადაც ძალიან მოკლედ წერია:

„გარდაიცვალა.. მე თვითონ ვნახე“..

იქმნებოდა გულშემზარავი ტირილი. ცოლები იგლეჯდენ თმებს... მოხუცი მშობლები უცრემლოდ, რაღაცას ჩივჩივებდნენ დაღუპულ შვილზე. პატარა ბავშვებმა არ იცოდენ ტირილის მიზეზი, მაგრამ უფროსებს აყვებოდენ და ისინიც აქვითინდებოდენ.

გულშემზარავი ტირილი ოთხი წელიწადი გაგრძელდა.

ოთხი წლის განმავლობაში თოფებითა და ზარბაზნებით ბრძოლა ძალიან დიდი მანძილია..

იმ ოთხმა წელიწადმა გაანადგურა მსოფლიო პროლეტარიატი. მილიონობით. ქალები შავად შეიმოსენ. მამაკაცები კი სასაკლაოზე არიან გაგზავნილი და იბრძვიან აი ვისთვის:

ვინც ცოლშვილის ალერსშია გაზრდილი. ერთობიან სურათებით, სადაც ბრძოლის ეპიზოდებია ასახული. მათ მოსწონთ ვაჟკაცობა მებრძოლების, როცა შეტევაზე გადადიან და გმირულად იხოცებიან. მიზობლის ტირილს, რომ გაიგონებდენ მხოლოდ უდარდელად ჩააქნევდენ ხელს:

— მოკვდა, რა ვუყოთ მერე, სამშობლოს შეეწირა...

გულმომკვლელი იყო ეს სიტყვები. მაშინ პროლეტარიატი არ იყო ისე ბედნიერი, რომ სამშობლო ჰქონოდა.

პროლეტარიატს ეხლა აქვს სამშობლო. ეს არის მსოფლიოს გული.

— საბჭოთა კავშირი.

ლენინი და ოქტომბერი მჭიდროთ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს ორი სახელია, რომელმაც შესწყვიტა ომი:

„ქარხნები მუშებს“.

ეს დიადი აზრი პირმშო შვილია, ოქტომბრის დღეების.

„მიწა—მიწის მუშებს“.

ეს ლენინმა და ოქტომბერმა სთქვა.

ოქტომბერი იყო ის, რომელმაც მოუტანა კაცობრიობას: „ზავი და მშვიდობა“. ოქტომბერი იყო ის, რომელმაც გადატეხა ბებერი ქვეყნის დამპალი ღერძი... ქვეყანა ორნაწილად გაიყო, ერთი მეექვსედი საბჭოთა კავშირია, სადაც აიმართა სისხლით შეღებილი წითელი დროშა, სადაც აგუგუნდა მილიონების მიერ გაკეთებული ქარხნები.

— მე მიყვარს ჩვენი ქარხანა.... მიყვარს საბჭოთა კავშირის ცა და დედამიწა.—ასე თქვა მუშამ, როცა საოქტომბრო მზადება იყო.

— მეც მიყვარს, რადგან მოისპო ჩაგვრა და ყვლეფა. ვიბრძოლებ ოქტომბრის რევოლუციის სადარაჯოზე სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. — სთქვა კიდევ მეორემ.

— ჩვენი სამშობლო მთელი მსოფლიოა. — დაამთავრა მესამემ.

ასე მსჯელობდენ ქარხნის მუშები. მათი რწმენა მტკიცე არის, გამძლე...

მათ იციან შენება...
იციან ზეიმი...
იციან ბრძოლა...

ამიტომ აშენდა საბჭოთა კავშირი. ამიტომ აშენდება ახალი მსოფლიო, იქაც, სადაც ჯერ კიდევ მუშები მონურ უღელში არიან გაბმული...

4.

სახლის სახურავი აქა-იქ ჩამონგრეულია. ეტყობა პატრონის გამრჯე ხელი მას კარგახანია აღარ მოხვედრია. სახლის წინ ქალი ხელსაქმეს აკეთებს. იგი ჩაფიქრებულია; იქვე ახლოს პატარა ბიჭი ჩის და დედას რაღაცას ელაპარაკება. დედა ყურადღებით ეკიდება ბავშის ტიტინს.

— როგორი იყო ჩემი მამა? რომ ცოცხალი იყოს, ალბათ როგორ ვეყვარებოდი? ხომ, დედიკო?

ბავში დედას ეკითხება მამის შესახებ, რომელიც მას არ უნახავს. ეს ბავში ისე იზრდება, რომ მან არ იცის როგორია მამის ალერსი. ეს იმიტომ, რომ ომმა გასწყვიტა მრავალი ასეთი მამა. დედას კი შვილის შეკითხვაზე ცრემლი მოერია და ძველი შავი მანდილის კიდით თვალები შეიმშრალა... თითქოს იგი შვილს უმალავდა მამის ისტორიას.

— ის, შვილო, დიდ ჩხუბში მოკლეს. — გაისმა დედის ყრუ ხმა.

დარ მძიმე ამოოხვრით უპასუხა შვილს, თითქოს მკერდიდან მძიმე ლოდი გადაიგორაო და დაღონებულმა გადაავლო თვალი უპატრონო სახლ-კარს; ბავში გაკვირვებით უცქეროდა დედას და კიდევ ეკითხებოდა;

— თუ ჩხუბობდა, მერე რატომ მამამ არ მოკლა?

დედას უნებურად გაეცინა. ღიმილმა ტუჩებზე ორჯერ გადაურბინა და ისევ მოიღუშა.

— არიპათ მოკლავდა და კიდევაც იმიტომ მოკლეს.

— რატომ იყო ჩხუბი?

— რა ვიცი, შვილო, იმ ჩემი ცოდვით სავსემ ჩვენ კი მოგვითხარა და მიწასთან გაგვასწორა. წინად ვინც პაპა ნიკოლოზი იყო მეფედ. იმის დროს ძალიან გვიჭირდა, მაგრამ ახლა, აი სულ ქართველებია. მაგრამ ვინ გხედავს, ვის აგონდება ჩვენისთანა საწყალი, ობლის პატრონი; ქვრივ - ოხერი.

თვალცრემლიანი დედა ასწავლიდა შვილს, როგორ ეპყრობოდენ რუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლუციამდე ხალხს და როგორ ექცეოდნენ მემამულეები... შვილს პატარაობიდანვე უნდა გააცნოს მტერი მოყვარე. მტერს კი აცნობს, მაგრამ მოყვრების შესახებ არაფერი უთქვამს... რადგან ძველად ყველა მტერი იყო და მფარველი არავინ ჩანდა.

პატარა ბიჭი ყურს უგდებდა დედის ნაღვლიან ლაპარაკს და მის ჯერ კიდევ ნორჩ გულში ზიზღი და შური იბადებოდა იმ ცხოვრებისადმი, სადაც ასეთი გაუკითხაობა და მტაცებლობა იყო. შვილი ხედავს დედის უმწეო მდგომარეობას. ხედავს, როგორ თანდათან უკან მიდის მათი საქმე.

5.

გავიდა წლები. საბჭოთა კავშირმა გაშალა სოციალისტური მშენებლობა. მუშები სიხარულით მიდიან ქარხანაში, სიხარულით ქედავენ სოციალისტურ ნივთს. ოქტომბრის შემდეგ ათეული წელი გავიდა და ჩვენ მუშებს აღარ ჰქონიათ წარმოებაში უთანხმოება, რადგან მათ უკვე იციან ვისთვის შრომობენ... იციან, რომ სოციალისტურ ქვეყანას აშენებენ, თვალდათვალ იზრდება ჩვენი კოლმეურნეობა.

ზრდა და სიმტკიცე მაღალი ტემპებით მიმდინარეობს. ბავში, რომელიც ერთხელ დედას ელაპარაკებოდა თავისი მამის შესახებ, ახლა ის დამკვრელი კოლმეურნეა და ცხოვრებას შეჰხარის. წინად კი ის, ზიზღით უცქეროდა იმ ცხოვრებას, რომელმაც მისი ოჯახი გაანიავა. მის ოჯახს მათხოვრობა მოელოდა, მაგრამ საბჭოებმა ასეთ ხალხს დიდი დახმარება აღმოუჩინა.

დამკვრელი ახალგაზრდა კოლმეურნე, შეგნებულად იცავს თავის კოლმეურნეობას, და პატრონობს ოჯახს.

— შეხედეთ სანდროს, მანა თვალით არ უნახავს, ოჯახი დანგრეული ჰქონდა, ახლა კი გასწორდა წელში,—თქვა ერთმა.

— ჩვენგან ისწავლა შრომა და გარჯა. — უპასუხა მეორემ.

— არა. საბჭოებმა ასწავლა. — დაუმატა მესამემ.

უყვართ და ამიტომ ლაპარაკობენ სანდროზე. სანდროს კოლექტივის საქმეებზე ზოგიერთ წევრებთან ცოტა უთანხმოება მოსდის ხოლმე, მაგრამ მისდამი სიყვარული მაინც დიდია, რადგან ამ დიად საქმეს ენერგიულად ჰკიდია.

დედამ მოიხადა შავი მანდილი. იგი თითქოს კიდევ დაუბრუნდა ახალგაზრდობას. უპატრონო სანდრომ, რომ ასეთი სახელი მოიპოვა კოლექტივში, ეს დედას ძლიერ ახარებს; დედა-შვილი დიდი სიხარულით იბრძვიან კოლექტივის ზრდა-განმტკიცებისათვის.

6.

ახლა, როცა კოლექტივი ისვენებს, დასხდებიან ერთად წევრები, და იგონებენ წარსულს წყევლა-კრულვით. მაშინ მათ არ ქონდათ წარმოდგენილი თუ ასეთი მშვიდობიანი ცხოვრება დაიწყებოდა.

დიდი ოქტომბრის ზეიმის წინა დღეებში კოლმეურნე გლეხები ემზადებიან. ზეიმს ტრაქტორებით უნდა შეხვდენ. ჩვენმა გლეხობამ ბევრი რამ ისწავლა რევოლუციისაგან. წინად არ იცოდა გლეხმა რა იყო ტრაქტორი, ახლა კი იციან გულუხვად რომ მიარღვევს ყამირ ნიადაგს, სადაც ითესება ხორბალი და სიყვარული.

ტრაქტორს გამოყავს წყობილებიდან შვიდი უღელი ხარი და მრავალი გუთნის საქმეს აკეთებს მარტო ერთი ეს რკინის ვეშაპი, რომელსაც გულთბილად უცქერიან გლეხები. ტრაქტორი მათ კიდევ უფრო ამჭიდროვებთ.

ტრაქტორის გუგუნში ისმის აგიტაცია, რომელიც მოუწოდებს გლეხებს კოლექტივის გაზრდისაკენ...



აგარის ჭარხლის საბჭ. მეურნ. დამკვრელი ქალი.

7.

დღეს დიდი ზეიმი აქვთ კოლმეურნეებს. ისინი მისდევენ ტრაქტორს და ახარებთ მისი უდიდესი ძალა. სოციალისტური ქარხანა ზეიმობს, რომ ის ყოველწლიურად უშვებს უამრავ ტრაქტორებს სოციალისტური სოფლის შემქმნელ უდიდეს აგიტატორებს.

დიადი ოქტომბრის დღეების ზეიმია ყველგან, სადაც კი იგრძნობა სოციალისტური ქვეყნის სიმტკიცე...

8.

სანდრო ზეიმის დღეს ამაყად მიაბიჯებს. მას ახსოვს, რომ ერთ დროს მამაზე ოცნებობდა, რომელიც მსოფლიო ომის ქარცეცხლში დაიკარგა სადღაც ოსმალეთის საზღვრებზე...

მაგრამ მას, უხარია, რომ დღეს ბავშვები, მწკრივში დარაზმულები, წითელყელსახვევებით ფეხაწყობილნი მიდიან...

ტრიბუნიდან გაისმა ძახილი:

— „იყავ მზად!“

— „მზად ვართ!“ —შესძახეს ქვევიდან პიონერებმა.

აი, დღეს ბავშვებიც ასე სიხარულით ხვდებიან დიდი ოქტომბრის მონაპოვარს, რომელმაც თავის გზა მისცა ბავშთა კომუნისტურ მოძრაობასაც...

სანდროს სწყინს, რომ წინად ის, არც ოქტომბრიელი იყო და არც პიონერი...

ლავრ. ჭიჭინაძე.



ბამბის აღების მე ქანიზაცია ალაზანში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელსადგური

10 ოქტომბერს მდინარე დნეპრზე ამუშავდა მთელს მსოფლიოში უდიდესი ჰიდროსადგური სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტი—დნეპრჰესი.

დნეპრჰესი პროლეტარული ქვეყნის სიამაყეა, რომელმაც თავისი სიძლიერით დაძლია კაპიტალისტური ქვეყნების უძლიერესი ჰიდროსადგურები.

ის 5 წელს ააშენა საბჭოთა ქვეყანამ და 810.000 ცხენის ძალის სიძლიერეს შეიცავს, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ-ამერიკის უდიდეს ვილსონს ჰიდროსადგურს, რომელიც 12 წლის განმავლობაში შენდებოდა, 620.000 ცხენის ძალა აქვს, ნიაგარის ელსადგურს კი—430.000 ცხ. ძალა, ამრიგად, დნეპრჰესით საბჭოთა ელექტროფიკაცია დაეწია და გაუსწრო კაპიტალისტური ქვეყნების ელექტროტეხნიკას.

„გაივლის წლები,—ნათქვამია დნეპრის მშენებლობის 10 ოქტომბრის მიმართვაში და დიდი საბჭოთა ქვეყანა ააგებს კიდევ უფრო გრანდიოზულ სადგურებს ვოლგაზე შემდეგ—ანგარაზე, მაგრამ მშრომელი ხალხის ხსოვნაში ყოველთვის დარჩება ჯერჯერობით ყველაზე უდიდესი ჰიდროსადგურის—დნეპრის სადგურის მშენებლობის საუცხოვო პოემა".

უკრაინის მდინარე დნეპრი ბალტიის ზღვის სანაპიროებიდან მომდინარეობს და შავს ზღვას უერთდება. მისი სიგრძე 2250 კილომეტრს უდრის.

დნეპრის ნაოსნობისათვის გამოყენების იდეა ჯერ კიდევ პეტრე 1 და ეკატერინე 2 დროს არსებობდა. მას შემდეგ ფეოდალურ რუსეთს არაერთხელ დაუსვამს ეს კითხვა; განსაკუთრებით ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის წინ ლაპარაკი იყო ტრანსპორტის და ენერგეტიკის თვალსაზრისით დნეპრის გამოყენების შესახებ, მაგრამ დნეპრის წყალქვეშა უზარმაზარი ქვები და კლდეები, რომლებიც 100 კილომეტრის მანძილზე კრძალავდა ნაოსნობისა და ტრანსპორტისათვის მის გამოყენებას, ვერ დასძლია უკანასკნელ დღეებთან მიახლოვებულმა თვითმპყრობელობის მარტივმა ტეხნიკამ.

ძლევამოსილი დნეპრის დამორჩილება მხოლოდ სოციალისტურმა ინდუსტრიამ და პროლეტარულმა ენტუზიაზმმა შეძლო.

„ძლევამოსილი დნეპრი გადაჭრა მსოფლიოში უდიდესმა ჯებირმა, რომლის სიგრძე 760 მეტრს უდრის, სიმაღლე—60 მეტრს, ხოლო მოცულობა—720 ათას კუბომეტრ ბეტონს", და ამ ჯებირმა აიძულა დნეპრი—უკრაინის მრეწველობისათვის მიეცა ცეცხლი, სინათლე და ძალა.

დნეპრჰესის პროექტი 1920 წელს დამტკიცდა ვლადიმერ ლენინის ხელმძღვანელობით. პროექტის დამტკიცებიდან 7 წლის შემდეგ, 1927 წლის 8 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავზე, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის დახმარებით, უკრაინის პროლეტარიატმა და გლეხობამ საძირკველი ჩაუყარა ჰიდროელსადგურის მშენებლობას.

მშენებლობის გეგმით, ჰიდროელსადგური 1932 წლის 1 დეკემბერს უნდა დამთავრებულიყო. ამერიკელ სპეციალისტებს წარმოუდგენლად მიაჩნდათ ასეთი უზარმაზარი მშენებლობის ასეთ მოკლე დროში დამთავრება-მაგრამ სინამდვილემ კიდევ უფრო შეამოკლა აღნიშნული დრო, და 1932 წლის 1 მაისს დნეპრმშენის მამაცულის არტერიერებმა უკრაინის ინდუსტრიას მისცა მთელს მსოფლიო-



დნეპრჰესის ერთი ნაწილი.

ში ყველაზე იაფი ელექტროენერგია, ეს იყო დნეპრჰესის ერთი ნაწილის ამოქმედების შედეგი. მხოლოდ 1932 წლის 10 ოქტომბერს კი, ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე, დნეპროსტროის სამკუთხედმა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს მისცა პატაკი, რომელიც მომდევნო სიტყვებით იწყება: „საბჭოთა კავშირის ბოლშევიკური ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური ციხე-სიმაგრის—დნეპრის ელექტროსადგურის მშენებლობის პროლეტარები, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები, აგრეთვე ადმინისტრაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობა პატაკს უდგენენ საკ. კ.პ. (ბ) ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, უკრაინის კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ბელადს ამხ. სტალინს, საბჭოთა კავშირის და უკრაინის ს.ს. რესპუბლიკის მთავრობებს, დიადი სოციალისტური ქვეყნის მუშათა და კოლმეურნეთა მასებს: **დნეპრჰესი ამუშავდა.**

ლენინის გენიალურმა საელექტროფიკაციო გეგმამ კონკრეტული განსახიერება მიიღო დნეპრზე შექმნილ გიგანტურ ნაგებობაში. პირველი ხუთწლედის ღვიძლი შვილი დნეპრჰესი მაღალი ძაბვის (450 ათასი ვოლტი) მავთულებით აწვდის მსოფლიოში ყველაზე უფრო იაფფასიან ელექტრო ენერგიას".

ბუნებრივია, რომ ასეთი უზარმაზარი მშენებლობის ასეთ მოკლე დროში დამთავრებას უდიდესი ენტუზიაზმი, პასუხისმგებლობის გრძნობა და ბრძოლა სჭირდებოდა, ამ აუცილებლობას კარგად გრძნობდენ დნეპროსტროველები.

„უკრაინის ელექტრო გულის,—წერენ ისინი თავიანთ მიმართვაში—კოლოსალური სიმძლავრის ჰიდროელსადგურის, აგება ჩვენ დავიწყეთ ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე. ჩვენ შეგნებული გვქონდა ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც დაგვაკისრეს პარტიამ და მთავრობამ, და ჩვენ ეს ნდობა გავამართლეთ. ჩვენ ავაგეთ ელექტროსადგური და ქვეყანას მივეცით ელექტროენერგია **ამერიკელი სპეციალისტების ვარაუდზე ორი წლით ადრე და ჩვენი გეგმით გათვალისწინებულ ვადაზე 6 თვით ადრე.**

ამერიკის სპეციალისტები, რომელნიც ამერიკულ ტემპებს ეყრდნობოდენ, ფიქრობდენ, რომ ჩვენ ჰიდროსადგურს ავაგებდით 7 წლის განმავლობაში—1934 წელს; თუმცა ჩვენ არ გვქონდა მსხვილი ჰიდროსადგურის მშენებლობის გამოცდილება, დნეპრის სადგურის გრანდიოზული მშენებლობის გამოცდილება, დნეპრის სადგურის გრანდიოზული მშენებლობა **ამერიკელების მიერ გათვალისწინებულ ვადაზე 2 წლ. ადრე დავამთავრეთ და ქვეყანას მივეცით მსოფლიოში ყველაზე უფრო იაფი ენერგია** არა 1932 წლის 1 დეკემბერს, როგორც წინათ ვვარაუდობდით, **არამედ 1 მაისს.**

„დნეპროსტროიმ განახორციელა ის, რაც მე შეუძლებლად მეჩვენებოდა", განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა სპეციალისტმა კუპერმა. დიადი გამარჯვება დნეპრზე მჭერმეტყველურად ადასტურებს ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის სისწორეს: ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბოლშევიკური ტემპების სისწორეს.

დნეპროსტროი—ბოლშევიკური ტემპების დანერგვის სიმბოლოა. გამარჯვება დნეპრზე—კიდევ ერთი გამანადგურებელი მახვილია, რომელიც ჩაეცა ოპორტუნისტებს, მოწუწუნეებს და იმედდაკარგულებს. დნეპრზე მოპოებული მთლიანი გამარჯვება უშუალოდ მიეწერება ლენინური პარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმის ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას—დნეპროსტროის ხუთი ათასი წევრისაგან შემდგარი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას, კომუნისტებს, რომელნიც ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე იდგენ, [illegible] პირველნი იყვნენ ყველაზე [illegible] ადგილებზე, პირადი გმირული მაგალითით მიჰყავდათ მასები გიგანტური მშენებლობის უდიდეს და მრავალ სიძნელის გადასალახავად. ბრძოლაა 500000 კუბიკური მეტრ ბეტონისათვის 1930 წლის სეზონში, კაშხალის მონტაჟის წარმოება და მისი ვადამდე დამთავრება დაკავშირებულია დნეპროსტროის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელ როლთან. პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარების და ამხ. სტალინის 6 პირობის განხორციელების საფუძველზე, დნეპროსტროის პარტიული ორგანიზაცია იყო შრომის სოციალისტური მეთოდების—სოცშეჯიბრების და დამკვრელობის—ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩვენ გავშალეთ ნამდვილი ლენინური სოციალისტური შეჯიბრება: „ჩვენ, დნეპროსტროის 30 ათასმა დამკვრელმა, განსაკუთრებით სიცხადით და დამაჯერებლობით დავამტკიცეთ, რომ შრომა ჩვენთვის წარმოადგენს **„ღირსების საქმეს, სახელის საქმეს, სიმამაცის და გმირობის საქმეს".**

განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა დნეპროსტროის წითელდროშოვანმა კომკავშირმა—პარტიული ორგანიზაციის ყველაზე საიმედო და პირველმა თანაშემწემ მშენებლობაზე. მთელი ქვეყანა იცნობს დნეპროსტროის გამოჩენილ კომკავშირულ დამკვრელ ბრიგადებს მშენებლობის გამგეობის საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის სწორმა ორგანიზაციულ-ტექნიკურმა ხელმძღვანელობამ. ამერიკელი და გერმანელი სპეციალისტების ძვირფასმა კონსულტაციამ გა-



# დიდი საკოლმეურნეო ბაზრობა თბილისში

15 ოქტომბერს ქ. ტფილისში გაიხსნა დიდი საკოლმეურნეო ბაზრობა. ბაზრობას რაიონების კოლმეურნე და მშრომელი ინდივიდუალური გლეხები აქტიურად გამოეხმაურენ; 15 ოქტომბერს ტფილისის ბაზრები აივსო სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, მოვაჭრე კოლმეურნე და ინდივიდუალური გლეხებით და მყიდველებით.

ბაზრობის აგილებზე ტფილისის ფაბრიკა - ქარხნებმა და კოპერატიულმა ორგანიზაციებმა მოაწყო სავაჭრო მაღაზიები, სადაც იყიდება ფართო მოხმარების და სამრეწველო საქონელი. მაღაზიები მორთული იყო ლოზუნგებით და პლაკატებით. იქვე იყო მოწყობილი საკონსულტაციო მაგიდები, კოლმეურნეებისა და ინდივიდუალურ მშრომელ გლეხობისათვის და წითელი კუთხეები საჭირო წიგნებით და ჟურნალ - გაზეთებით.

ბაზრობის დღეებში კოლმეურნეთათვის ეწყობოდა: კინო, კონცერტები, ლექციები, კონსულტაცია, საუბრები, ექსკურსიები და სხვ.

ბაზრობის დღეებში კოლმეურნეთათვის ეწყობოდა: კინო, კონცერტები, ლექციები, კონსულტაცია, საუბრები, ექსკურსიები და სხვ.

ბაზრობამ ტფილისში ზედმიწევნით გააიაფა სასოფლო - სამეურნეო პროდუქტები. ბაზრობა დამთავრდება 25 ოქტომბერს. შემდეგისათვის [illegible] კოლმეურნეო ბაზრობას მიეცემა სისტემატიური ხასიათი. ბოლშევიკური ბრძოლით ქალაქის და სოფლის საწარმოო სავაჭრო კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის, გამანადგურებელი ბრძოლით სპეკულიანტ-გადამყიდველებთან, რომლებიც ცდილობენ ძირი გამოუთხარონ საბჭოთა საკოლმეურნეო ვაჭრობას, საკოლმეურნეო ბაზრობა გადაიქცევა ძლიერ ბიძგად, ქალაქის და სოფლის საქონლის ბრუნვის განვითარებისათვის.

ს. ყაზ—ლი.



აგარის კოლმეურნეები გორის ჩამბარებელ პუნქტს აბარებენ ხორბალს

## ოქტომბრის დილა

ადექ, გახედე ფანჯარას,
ნუ თუ კვლავ ღამე გგონია?!
ტანზე ჩაიცვი პატარავ
გვერდით მომიჯექ, მოდი აქ...

ქუჩას გახედე, მოდიან,
მოაქვთ ხალისით გულები,
მათში ლაჩრები როდია—
მღერიან დარაზმულებ...

პატარა დროშას მოარხევს,
მოსჩანს წითელი პლაკატიც...
დღეს სიხარულით განახებთ,
რაც გავაკეთეთ აქამდი.

გულს მცხუნვარე მზეს გადუშლით,
ნაავიც ხალისს მოდენის...
მოაქვთ:
„დამკვრელი ჩაქუჩი“
და „ორთქლმავალი“-ს მოდელიც.

უცხოელ ძმებსაც ვურჩევდით.
ჯერ მათთან მზე არ ანთია!
მხნედ გამოვიდენ ქუჩებში—
და ბრძოლით შეხვდენ განთიადს.

მტერმა ჩვენ ველარ გვაჯობა,
რკინამ დალარა ქედებიც...
ყვაოდეს მხარე საბჭოთა
მუშათა შემოქმედებით!
დიდ გამარჯვების მომთხრობი,
მზეც კი იცინის მთლიანად.
დილაა... დილა ოქტომბრის
დილა ცისფერი კრიალა.

ქუჩებს მოედვენ...მოდიან,
მოაქვთ ხალისით გულები.
მათში ლაჩრები როდია—
მღერიან დარაზმულები!

დავ. შამათავა.

საკუთრებული როლი ითამაშეს მშენებლობის წარმატებაში“.

„საბჭოთა ხელისუფლება პლიუს ელექტროფიკაცია უდრის სოციალიზმს“—წერდა ლენინი, ლენინის ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ელექტროფიკაციას აქვს სოციალიზმის მშენებლობისათვის, ამიტომ იყო, რომ ლენინი ყოველთვის თავგამოდებით იბრძოდა ელექტროფიკაციის განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

ლენინის სახელს უკავშირდება დნეპროსტროის მშენებლობაც, რადგან, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ლენინის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დამტკიცდა მისი პროექტი და, რაც მთავარია, ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით დასრულდა ის.

„**დნეპროსტროი,**—წერენ დნეპრომშენის მუშები, მუშა-ქალები, ინჟინერ-ტეხნიკოსები და მოსამსახურეები თავიანთ ზემოდ დასახელებულ 10 ოქტომბრის მიმართვაში,—ელექტროფიკაცია ლენინური გეგმის განხორციელებაა“. ამიტომ იყო, რომ საკ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა 10 ოქტომბერს დნეპრჰესი შემდეგი სიტყვებით გახსნა:

„მთავრობა,—განაცხადა ამხ. კალინინმა—დღეიდან საბჭოთა კავშირის მომქმედ საწარმოთა რიცხვს უმატებს დნეპრჰესს შემდეგი სახელწოდებით: „ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდრო ელსადგური“.

„ლენინის სახელობის დნეპროჰიდროელსადგური სოციალისტური ინდუსტრიის გულია. **იგი მუშათა კლასმა შექმნა და მუშათა კლასს ეკუთვნის.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელექტრომავლის დაბადება

ისტორია მოგვითხრობს: უძველესი სტამბოლის ერთმა მოქალაქემ თავის სახლში მოაწყო დიდი ორთქლის ქვაბი. მილები ამ ქვაბიდან მან ჩუმად გაიყვანა თავისი მეზობლის სახლის ქვეშ, მეზობლის, რომელთანაც მას უსიამოვნება ჰქონდა. და აი ერთ მშვენიერ დღეს ამ მილებით მეზობლის სახლს ეკვეთა ორთქლის ისეთი ძლიერი ნაკადი, რომ მთელი სახლი მძლავრად შეინძრა, როგორც მიწისძვრის დროს.

ასეთი იყო ორთქლის მამოძრავებლის გამოგონების პირველი ნაბიჯები.

შემდეგ მრავალ გამოჩენილ მექანიკოსს აეკვიატა ორთქლის მამოძრავებლის დამზადების იდეა. დენის პაპინი, ნიუკომენი, ჯემს უატი, გეორგ სტეფენსონი, — აი სახელები, რომლებმაც მოიპოვეს კაცობრიობას გამარჯვება და შექმნეს ორთქლის მამოძრავებელი ძალის გამოყენება.

დენის პაპინმა თავისი მამოძრავებელი დიდ ნავზე მოაწყო. ნავს საშუალება მიეცა გაჰყოლოდა როგორც წყლის დინებას, ისე ევლო მის წინააღმდეგაც.

მენავეებმა ამ გამოგონებაში იგრძნეს თავისი შემოსავლის შემცირების საფრთხე. ერთხელ, გერმანიის ერთ-ერთ მდინარეზე მოგზაურობის დროს, პაპინის ნავს თავს დაესხნენ მენავეები და დალეწეს ორთქლის მამოძრავებელი. ნამტვრევები მდინარეში გადაყარეს. საწყალი პაპინი შემდეგ საშინელ სიღატაკეში გარდაიცვალა. მაგრამ ამან ვერ შეაჩერა გამომგონებელთა აზრის თავისუფალი გაქანება. პაპინის მიერ დაწყებული საქმე განაგრძო და განავითარა ინგლისელმა მჭედელმა ნიუკომენმა, შემდეგ ჯემს უატმა და ბოლოს გეორგ სტეფენსონმა ორთქლის მამოძრავებელს უფრო დასრულებული სახე მისცა: მან გამოიგონა ორთქლმავალი.

ეს იყო 100 წლის წინათ. მას შემდეგ ორთქლმავალმა ბევრი გაუმჯობესება განიცადა, და დღეს ყველა იცნობს ამ უზარმაზარ რკინის ვეშაპს, რომელიც დაუღალავად მიმოქრის ლიანდაგზე და ასეულ და ათასი ტონით ეზიდება ტვირთს და მგზავრებს.

ორთქლმავალი დღემდე ორთქლის მამოძრავებლის ყველაზე უფრო სრულყოფილ სახედ ითვლება. მაგრამ მას აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტები.

ორთქლმავალი უამრავ საწვავ მასალას ნთქავს. მისი სასარგებლო მოქმედების კოეფიციენტი ძალზე მცირეა. ქვანახშირზე მუშაობის დროს იგი არ აღემატება 4 პროცენტს. ეს იმას ნიშნავს, რომ ასი ფუთი ნახშირიდან მხოლოდ ოთხი ფუთი იწვის სასარგებლოდ, დანარჩენი კი იკარგება. თუ ამას დაუმატებთ იმასაც, რომ ორთქლმავალი მეტად მძიმე, ჭუჭყიანი, შეზღუდული სიმძლავრის მანქანაა, ნათელი გახდება, რომ მის სრულყოფაზე ლაპარაკი გადაჭარბებულია.

ორთქლმავლის თანდათან გაუმჯობესებასთან ერთად კაცობრიობას არ შეუწყვეტია უკეთესი, უფრო მძლავრი მამოძრავებლის გამოგონების ცდები, და უცხოეთში ამ მხრივ მართლაც მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს. 1910 წ. ამერიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში შემოიღეს ელექტრომავლები, რომლებმაც ბევრ ხაზზე სავსებით შეცვალეს ორთქლმავლები და ბევრად უკეთესი შედეგები გამოიღეს. ამ დროიდან მოყოლებული რკინიგზის ელექტროფიკაცია განხორციელებულია მხოლოდ ორ საგარეუბნო შტოზე: მოსკოვ - მიტიშჩის და ბაქო-საბუნჩის ხაზზე. ამ გზებზე დადის ტრამვაისებური მოტორო-ვაგონები.

მაგისტრალური ხაზი, სადაც უნდა გატარდეს ნამდვილი ელექტროფიკაცია, არის სურამის საუღელტეხილო უბანი. ეს უბანი ძალზე აფერხებს ამიერ-კავკასიის რკინიგზების მუშაობას, რადგან მისი მთიანი პროფილი საშუალებას არ იძლევა გადიდებულ იქნას მატარებლის წონა და ამით გზის გამტარუნარიანობა.

ტვირთბრუნვის გადიდებული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა ან მეორე ხაზის გაყვანა, ან გზის ელექტროფიკაცია. მეორე ხაზის გაყვანის საშუალებას არ იძლევა უბნის მთიანი პირობები. ამიტომ გზათა სახალხო კომისარიატი ელექტროფიკაციაზე შეჩერდა.

სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაცია დიდ პერსპექტივებს შლის ამიერ-კავკასიის რკინის გზების წინაშე. წევის ელექტროფიკაცია საშუალებას მისცემს რკინის გზას ერთი-ორად გაადიდოს საუღელტეხილო უბნის გამტარუნარიანობა და მნიშვნელოვან ეკონომიას მიაღწევს სათბობის ხარჯვაში.

წევის ელექტროფიკაციას იმდენი უპირატესობა აქვს ორთქლის წევასთან შედარებით, რომ მისი სასწრაფოდ განხორციელება რკინიგზების მთავარ საზრუნავ საგანს უნდა წარმოადგენდეს. ეს გაითვალისწინა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ივნისის პლენუმმა, რომელმაც მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა, რომ „რკინისგზის ტრანსპორტის ელექტროფიკაცია წარმოა-

1) წერილი ამოღებულია ამხ. შ. ბუაჩიძის წიგნიდან: „ცხოვრება ინდუსტრიალური".



სურამის უღელტეხილის ერთ-ერთი ელექტრომავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სურამის უღელტეხილის ელექტროენერგიის შემამცირებელი სადგური სტალინისში.

დღენა რკინიგზების რეკონსტრუქციის მთავარ რგოლს მათი განვითარების პერსპექტივაში".

წევის ელექტროფიკაცია სათბობის დიდ ეკონომიას იძლევა. ეს ეკონომია ჰიდროელსადგურების ენერგიით მუშაობის დროს 100 პროც. აღწევა. ელექტრომავალი, რომელმაც უნდა შეცვალოს ორთქლმავალი, ამ უკანასკნელზე რამოდენიმეჯერ უფრო ძლიერია. ევროპაში ელექტრომავლების სიმძლავრე .8.500 ცხ. ძალას აღწევს, რაც მათ საშუალებას აძლევს წაიყვანონ 9.000 ტონიანი შედგენილობა. ორთქმავლისათვის ეს მიუწდომელია. ელექტრომავლის სიმძლავრე 200 პროც. სჭარბობს ორთქლმავლის სიმძლავრეს, ხოლო მისი წონა 65 პროცენტით ნაკლებია ორთლმავლის წონასთან შედაგერიბთ.

მაგრამ ელექტრომავლის უპირატესობა ამით არ ამოიწურება. ელექტრომოვლის სარგებლო მოქმედების კოეფიციენტი ნახშირით მუშაობის დროს 4 პროც. არ აღემატება. ელექტრომავალს არ ესაჭიროება გახურება. ის ყოველ წუთს მზად არის სამოქმედოდ. აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი მეტად საყურადღებო უპირატესობა: ელექტრომავალი დადის ელსადგურიდან მიღებული ენერგიით. მაგრამ თავდაღმართზე დაშვების დროს ელექტრომავალი თვითონ ქმნის ენერგიას, რომელიც უკან ბრუნდება მავთულებით. ამას ორგვარი მნიშვნელობა აქვს. ჯერ ერთი ეს ენერგია შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა საქმეზე: ის საშუალებას აძლევს ელექტრომავალს მთელი სისწრაფე განავითაროს და კატასტროფის საფრთხის წინაშე დადგეს. ამით იქნება ერთგვარი დამუხრუჭება.

საუღელტეხილო უბანზე ხშირია მატარებლის კატასტროფა. იბადება კითხვა: რა მდგომარეობა იქნება ამ მხრივ? ელექტრომავალს დიდი უპირატესობა აქვს მატარებლების მარცხის თავიდან აცილების მხრივაც. ელექტრომატარებელზე რჩება ყველა ის მუხრუჭები, რომელიც ამჟამად აქვს ორთქლის მატარებელს. ამას ემატება ის ავტომატური მუხრუჭი, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით (ენერგიის რეკუპერაცია). ეხლანდელ მატარებლებზე მუხრუჭების გამოყენება საკმაო სიძნელეს წარმოადგენს. ელექტრო მუხრუჭები უფრო სწრაფად და ადვილად მოქმედებენ.

ელექტრომავალი ორთქლმავალზე უფრო ჩქარა დადის. თუ ეხლა ორთქლმავალი ხაშურიდან ზესტაფონში ჩასვლას 4 საათს უნდება, ელექტრომავალი ამ მანძილს ორ საათში გაივლის. ამჟამად ორთქლმავალი დაღმართზე დაშვების დროს საათში საშუალოდ 40—აპ კილომეტრს გადის, აღმართში კი 20—30 კილომეტრს. ელექტრომავლის სისწრაფე ორჯერ მეტია.

სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაცია საგრძნობლად შეამცირებს გზის საექსპლოატაციო ხარჯებს. წინასწარი გამოანგარიშებით ეკონომიამ 50 პროც. უნდა მიაღწიოს ამასთანავე გაიზრდება უბნის გამტარებლობა და შემცირდება ლოკომოტივების რიცხვი. ამჟამად უღე-

(გაგრძელება მე-14 გვერდზე)

# ჩვენი მიღწევები ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე



,ხილზე 50 ორთქლმავალი მუშა-
,. მათ მაგივრობას გასწევს 16
.ექტრომავალი. ყველა ამ უპირა-
ესობის ჩამოთვლის შემდეგ ნათელი
დება, თუ რა დიდი მნიშვნელობა
ქვს სურამის უღელტეხილის ელექ-
ტროფიკაციას. გავეცნოთ ეხლა რა
მდგომარეობაშია ელექტროფიკაციის
სამუშაოები.

ტაფონამდე, შემდეგ კი აქსტაფიდან სამტრედიამდე. ელექტროფიკაციის ბაზა სტალინისში იქნება. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს სტალინისში, მოლითში, ზესტაფონში, რიონში და სამტრედიაში. სტალინისში შენდება დახურული და ელექტროქვესადგურები, ელექტრომავლების დეპო, რომელსაც ექნება განყოფილება ორთქლმავლებისათვისაც, საწყობი და გარაჟი ავტორეზინებისათვის.

ღია ქვესადგურის დანიშნულებაა, დენის ძინვის შემცირება, ქვესადგური დაკავშირებულია ზაჰესთან. დენი შედის ღია ქვესადგურში, სადაც ძინვა 110.000 ვოლტიან 6.600 ვოლტამდე შემცირდება, შემდეგ შევა დახურულ ქვესადგურში, იქ გადაკეთდება მუდმივ დენად და ძინვა 3.000 ვოლტი ექნება. აქედან დენი ხაზზე წავა.

იგივე ხდება მოლითსა და ზესტაფონში. ზესტაფონში ქვესადგური ფეროომარგანეცის ქარხნის ტერიტორიაზე ეწყობა. იგი სამსახურს გაუწევს ქარხანას, რაიონს და ელექტროწევას.

რკინიგზების ელექტროფიკაციის მხრივ საბჭოთა კავშირის ტეხნიკურ ძალებს არ აქვთ სათანადო გამოცდილება. მით უმეტეს უნდა ითქვას ეს ახალგაზრდა საბჭოთა ინჟენერ-ტეხნიკოსებზე. მგარამ „არ არის ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღებაც არ შეეძლოთ ბოლშევიკებს“. მთელი საელექტროფიკაციო მუშაობა ახალგაზრდა საბჭოთა ტექნიკური ძალების ხელმძღვანელობით მიმდინარეობს. ამ მეტად რთული და პასუხსაგები საქმისათვის ერთხელაც არ ყოფილან მოწვეული უცხოელი კონსულტანტები. საქმისადმი თავდადებამ, უდიდესმა ენტუზიაზმა და შემოქმედებითმა ინიციატივამ გადალახა ყოველგვარი დაბრკოლება.

იმ გაშლილმა ბრძოლამ, რომელიც დღეს წარმოადგენს საბჭოთა კავშირში ტექნიკის დაუფლებისათვის, ჩვენს სახალხო მეურნეობას უნდა შემატოს მთელი რიგი ახალი ტექნიკური გაუმჯობესებანი. ეს გაუმჯობესებანი განსაკუთრებით საჭიროა ტრანსპორტზე, რომელიც ჩამორჩა სოციალისტური მეურნეობის განვითარების საერთო ტემპებს. ელექტროფიკაცია ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებაა. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა მიზნად დაისახა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების დაწევა და წინ გასწრება. ამ გზაზე ჩვენთვის ძვირფასია ყოველი ტექნიკური გაუმჯობესება, რომელიც დააჩქარებს ამ მიზნის მიღწევას. ელექტრომავალმა უნდა დააჩქაროს ტრანსპორტის რეკონსტრუქციის ტემპები.

**შ. ბუაჩიძე**



ტფილისის ცაშოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლის ახალი შენობა.

## საოქტომბრო გაზეთისათვის

დღეს კრებაზე დაავალა
პიონერთა ბაზამ გიგოს,
საოქტომბრო გაზეთისათვის
მასალები რომ შეკრიბოს
და რომ კიდეც ამხანაგებს
შეუკვეთოს, მისცეს თემა,
განუმარტოს მუშაობა
გაზეთისთვის როგორ ხდება.
გიგომ იცის ეს და ფანქრით
სქელ ქაღალდზე ჩამოსწერა,
სახელები მათი, ვისიც
აიტყვები და აზრი სჯერა.
ატრიქონებში, ვინც რომ სწრაფად
არ მოიხმარს არც ერთ სიტყვას,
აზრს არ ჩადებს გადასაშრელ
საკითხებს რიგში ბრიყვად
ასე გიგო საქმეს იწყებს,
ხელმძღვანელობს ფიქრთა რაზმი:
— კედლის გაზეთს უნდა ექნეს
მტკიცე ხმა და მტკიცე აზრი.
და გეგმასაც სქელ ქაღალდზე
დაკვირვებით ადგენს გიგო;
სწერს სახელებს, თემებსაც წერს
ისე, ყველამ რომ გაიგოს.
— პირველ რიგში ციფრები და
მიღწევათა გამოფენა! —
ფიქრობს ის, და ეს თემები
ცალკე ჯგუფად ჩამოსწერა.
ჩამოწერა: სკოლამ როგორ
აამაღლა ტემპი შრომის,
სოფელს როგორ დაეხმარა
ქაობების ამოშრობით,
როგორ მოსპო მოწაფეთა
სიზარმაცის ყველა ხვრელი,
და ამ საქმეს რით შველოდა
პიონერთა ბაზის ხელი.
შემდეგ რიგში ნაკლს ვერ ფარავს:
—ნაკლსაც უნდა გამოჩენა,—
ფიქრობს ის, და ეს თემებიც
ცალკე ჯგუფად ჩამოწერა.
ჩამოსწერა, რომ დარაჯებს
გაფრთხილება ისევ უნდათ.
პეტიჩრობენ და სასწავლო
კაბინეტს ჰგვიან ცუდათ,
რომ ვარჯიშის ხელმძღვანელი
ხშირად მთვრალი გზას ვერ იგებს
ისე გადის მთელი კვირა,
არ ჩახედავს ერთხელ წიგნებს.
ზის გიგო და გეგმას ადგენს,
აღარ უჩანს ფიქრთა მოცლა.
— მეთაურში უნდა იქნეს,
ოქტომბერმა თუ რა მოგვცა,—
ამბობს ის და... კიდევ ამბობს:
— ხმაში ცეცხლი უნდა ფეთქდეს
უნდა გაზეთს შრომის სიტყვა
და ოქტომბრის ძარღვი ექნეს.
ფიქრს აგრძელებს...
და ამისთვის
დაავალა ბაზამ გიგოს,
საოქტომბრო გაზეთისთვის
მასალები რომ შეკრიბოს,
და რომ კიდეც ამხანაგებს
შეუკვეთოს, მისცეს თემა,
განუმარტოს მუშაობა
გაზეთისთვის როგორ ხდება.

**გ. კაჭახიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ოქტომბრის დღეებში

# საოქტომბრო ზეიმი

—ხელი დაავლე დროშას,
ჩქარა გავიქცეთ კარში;
დღესაც დროშები მოსჩანს,
როგორც გინახავს შარშან!
„გახსოვს ოქტომბრის დილა,
ჩვენი დაფდაფი, მარში,
დღესაც ისევე დიან,
დღესაც სიხარულს გავშლით!
„ადე, წამოდექ მარდათ,
დავასწროთ ზარმაც ბიჭებს,
შევძახოთ: „მზად ვართ, მზად
ვართ!
ქუჩებში გადავიჭრეთ!“
თვალებს მოიფშვნეტს შოთა,
ჯერ წამოიწევს ზლაზვნით...
მერე ჩქარდება, შფოთავს.
„იქნებ ჩვენ გვიცდის რაზმი?!
აბა, ქუჩებში მარდათ,
აბა, ბიჭებო, ჰერი:
— დავაწკრიალოთ: მზად ვართ!
ჩვენ ვერ გაგვასწრებს ვერავინ!
ხედავ: ქუჩებში მზეა,
უცინის პროლეტარებს,
მორთულ მოედნებს ვსერავთ,
— ჯერ ისევ გუშინ რთავდენ!
ჩვენ გვიყვარს, პატარებო,
მზიანი ოქტომბერი:
ჩვენ გვიყვარს, პატარებო,
ჩვენი ბიძია ლენინ!
—აბა, დროშები ზევით,
გასწით ქუჩებში მარდათ,
ოქტომბრის დიად ზეიმს
შევსძახოთ:
— მზად ვართ
მზად ვართ!!!—

გ. შატბერაშვილი.

# საზოგადოება „ბავშთა მეგობრის“ საქმიანობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩამოგვშორდა ავი ბედი, ვიწყეთ
სულ სხვა ცხოვრება.
დაწყევლილი წარსული დრო
დიდხანს გვემახსოვრება“!

ასეთი სიტყვებით იგონებს განუწყვეტელი ხეტიალით გამოწვეულ ბნელ დაწყევლილ ცხოვრებას ქუჩის ყოფილი ბავში, რომელსაც საზოგადოება „ბავშთა მეგობარი“-ს საბავშო სახლში მიღების შემდეგ სულ სხვა სურათი ეხატება თვალწინ და, სულ სხვაგვარ, ახალ, მრავალფეროვან, მდიდარშინაარსიან ცხოვრებას იწყებს; მას მტკიცედ სჯერა თავისი მომავალი, და მის „ნათრევნაწვალებ“ ცხოვრებას სხვაგვარი ნათელი ეფინება. ამისთვის ეს ყოფილი „პაცანა“ გაბედულად მღერის:

„მაგრამ გამოკრთა ცაზე ნათელი,
საბავშო სახლში დაგვითმეს ბინა,
და ჩემს ცხოვრებას ნათრევ-ნაწამებს
ბედნიერების მზე მოეფინა“.

საბავშო სახლში მიღებულ უპატრონო ბავშვს არ აკმაყოფილებს მარტო კარგი ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა დი, საერთოდ, კარგ პირობებში მოხვედრა. არა, მისთვის ყველაზე უფრო საინტერესოა ცოდნის შეძენა, ამ ყოფილ ქურდ-ბაცაცას სურს, როგორც მოწყურებულ ღყალს, ისე, დაეწაფოს განათლების მიღებას, გაერიოს ხალხში და სხვა მშრომელებთან ერთად, „ახალ ყოფას შეყუროს ალტაცებით“. აი სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ სიხარულით დამთვრალი ბავში საქვეყნოდ ღაღადებს:

„სწავლით, შრომით [illegible]
ფავთ,
ჩვენც გამოვალთ კაცები;
ახალ დროს და ახალ ყოფას
შევყურებ ალტაცებით“.

მაგრამ მას არ სურს მარტო მაყურებლის როლში გამოვიდეს; გაგიკვირდებათ, მაგრამ ეს ყოფილი „პაცანა“ სწავლის მიღებას სულ სხვა მიზნისთვის ეტრფის:

„სწავლის შემდეგ, რომ ციც მივეშველო,
ახალი ქვეყნის დიად შენებას,
რომელიც შექმნის მთელ ქვეყანაზე
ყველა მშრომელთა ბედნიერებას“.

დიახ, ვინც ოდნავად მაინც იცნობს ქუჩის ბავშვთა თავგადასავალს, ამასთანავე იცნობს ბავშვთა უპატრონობის წარმომშობ ზოგიერთ მომენტს მაინც და მასთან ერთად გაცნობილია იმასაც, ესა თუ ის ქუჩის პატარა შვილი როგორ გრძნობს თავს ნორმალურ პირობებში ჩაყენებულ საბავშო სახლებში მიღების შემდეგ, — ის უსიტყვოთ დაეთანხმება ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტი ლექსების ავტორს, რომელიც მართლა რამდენიმე წელი „ეთრია - ეწამა“ ქუჩაზე და შემდეგ „ბავშთა მეგობრის“ საზოგადოების საბავშო სახლში მიიღეს აღსაზრდელად. ათწლედის დამთავრების შემდეგ, ის არაჩვეულებრივი ენტუზიაზმით მიქრის სოფელში მასწავლებლად და საუკეთესო კულტარმიელი ხდება; ათასჯერ მართალი არის მცხოვანი მწერალი შიო მღვიმელი, როდესაც



საქსპ. ნავთის ანალიზი ნავთის სინდიკატის ლაბორატორიაში (ბათომი)



საქნავთის მუშების ბავშვებს ბაგა მირზაანში.

მარ ის ბავშვი შემდეგი ლექსით დაახასიათა:

„სიყრმეში დაობლებულს,
დიდ ბრძოლების ქარიშხალმა
ფრთები ადრე შეაკვეცა,
ვით ფარვანას ცეცხლის ალმა.
მამა სულ არ უნახია,
ახსოვს მხოლოდ დედის კოცნა...
ბოლოს ბედმა სხვა მხარეზე
თოთოლივით გადმოტყორცნა,
მუდამ სახეჯამურული,
ჭუჭყიანი, აძონძილი,
არ ჰქონია თავის დროზე
სმა-ჭამა და არცა ძილი.
მან თვითონაც არ იცოდა,
როდის, სად რას ჩადიოდა,
თეთრად კბილებ გადმოყრილი
ქუჩა-ქუჩა დადიოდა.
საღამო ჟამს, შორს მივარდნილ
ყრუ ალაგას, ნაგვის ყუთში,
კვნესით მიეძინებოდა,
ჯანმოწყვეტილს სულ ერთ
წუთში.
და ასეთი უჟმურობა
შეითვისა ყველამ განა?
ზოგი ქვალმა ინაცვალა,
ზოგიც სენმა გადიტანა.
ერთხელ ქუჩის მეთვალყურემ
მთვლემარეს რომ მოატანა,
ალერსით და დაყვავებით
ბავშვი სახლში წაიყვანა.
ზოგიერთი ჯიუტივით
ის ულირსად გაპარულა,
იქ დაყარა სული, გული,
და ათწლედიც დაასრულა,
თუ ოდესმე დაფლეთილი
იყო ქუჩა-ეზოს მხლებლად,
დღეს ზეიმობს ის ამაყად—
სოფლოში მასწავლებლად.
და ასწვლის თავდადებით ,
გოგო-ბიჭებს, ცელქ ბალანებს
და მშობლიურ მზრუნველობით
მათ მომავალს აღაღანებს“;

და მართლაც, რომ საზ. „ბავშვთა მეგობარი“-ს ღვაწლი და შრომა დიდია და დაუფასებელი. ჩვენ ვნახეთ, რომ ახლად დანიშნული მასწავლებლის ენა ზეიმობს, მაგრამ ეს არის ზეიმი არა მარტო სოფლად წასული ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის, არამედ მთელი იმ ორგანიზაციისათვის, რომელმაც ქუჩას გამოსტაცა, აღზარდა ეს მასწავლებელი.

საზოგ. „ბავშვთა მეგობარი“ თავისი საბავშვო სახლების საშუალებით არა ერთ და ორ ყოფილ უპატრონო ბავშვებისაგან მასწავლებლებს და კულტმუშაკებს უზრდის მშრომელთა სახელმწიფოს და არა ერთ და ორ საუკეთესო კვალიფიცირებულ დამკვრელ მუშებს უშვებს თავის საწარმოო სახელოსნოებიდან.

[illegible] საზოგადოება [illegible] უფრო არის საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაცია, რომ, ის ნებაყოფლობით ნიადაგზეა [illegible] მოწყობილი; ამ ორგანიზაციამ, [illegible] საკუთრებით გაძლიერებული საზოგადოებრივი კონტროლის საშუალებით და მუდმივი მეთვალყურეობით, შეძლო საბავშვო სახლების სასურველ დონეზე დაყენება.

ძნელია საბავშვო სახლების მრავალფეროვან მიღწევებზე წერა და, კიდევ უფრო ძნელია აღსაზრდელების ყოველმხრივი დახასიათება და შეფასება, ხოლო ერთის თქმა მაინც უდავოდ შეიძლება საზ. „ბავშვთა მეგობრის“ საბავშვო სახლები დღეს უკვე წარმოადგენენ იმ უძლიერეს ფაბრიკა - ქარხანას, სადაც ქუჩის გაუწმენდელი მაწანწალა ბავშვები, ძირითად გარდატეხას განიცდიან პირველ ხანებში ისინი უახლოვდებიან, ცდილობენ და ეჩვევიან ნორმალურ ცხოვრებას და შემდეგ მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის მეთოდის გამოყენებით იქვე წარმოებს უდიდესი ზრუნვა მათ ჯანმრთელობაზე, ზნეობრივ გაფაქიზებაზე, სწავლა-ცოდნის მიღებაზე; და ეს ქუჩის ნამდვილი შვილები არა მარტო საბოლოოდ ემშვიდობებიან გარყვნილ, ქუჩურ ზნე-ჩვეულებებს და ქუჩურ, ცოდვებს, არამედ მათგან იჭედება სოციალიზმის მშენებელი ახალი ადამიანები.

ასეთია, მოკლედ, საზ. „ბავშვთა მეგობარი“-ს მუშაობა, რომელსაც ოქტომბრის რევოლუციის 15 წლის თავზე მრავალი დიადი მიღწევა ახასიათებს.

**არკადი ხუნდაძე**






# თვითეული მოწაფე და მოწაფე პიონერი უნდა იცნობდეს ცეკას 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილებას

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 5 სექტემბრის და 1932 წლის 25 აგვისტოს ისტორიულმა დადგენილებებმა სასკოლო მშენებლობის წინაშე ორი დიდი ამოცანა დააყენა: 1. ბრძოლა სწავლების მაღალი თვისებისათვის და 2. ბრძოლა მტკიცე სასკოლო რეჟიმის და მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის შექმნისათვის.

არაშესაფერისად შედგენილმა პროგრამებმა, სასკოლო მუშაობის არადამაკმაყოფილებელმა მეთოდებმა, სუსტმა მეთოდურმა ხელმძღვანელობამ, „სუსტმა დისციპლინამ სკოლებში, ზოგჯერ კი ყოველგვარი წესრიგის და დისციპლინის უქონლობამ" განვლილი სამოსწავლო წლების მანძილზე სასკოლო სწავლების თვისება ცუდ გადაგვარებულ გზაზე დააყენა სკოლები. გასულ 1931-32 სამოსწავლო წელს ცეკას ხუთი სექტემბრის დადგენილების საფუძველზე, ამ მხრივ საგრძნობი გარდატეხა მოხდა მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი, იმ დიდი ამოცანების შესრულების საქმეში, რომელიც სკოლების წინაშე, მიმდინარე პერიოდმა დააყენა. ამის გამო საკავშირო კომპარტიის (ბოლშევიკების) ცეკას 25 აგვისტოს დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი სკოლის ის ძირითადი ნაკლი, რომელზედაც ცეკას 1931 წლის ხუთი სექტემბრის დადგენილება მიგვითითებდა და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ:

**„სკოლაში სწავლება არ იძლევა საკმაო მოცულობის საერთო-საგანმანათლებლო ცოდნას და არა დამაკმაყოფილებლად სჭრის ტეხნიკუმისა და უმაღლესი სკოლისათვის ხავსებით მცოდნე ადამიანების მომზადების ამოცანას, რომლებსაც კარგად აქვთ შეთვისებული მეცნიერების საფუძვლები (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, მშობლიური ენა, გეოგრაფია და სხვ.).**

ამასთანავე ერთად ცეკას 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილება აღნიშნავს, რომ „1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილების შემდეგ სკოლაში სასწავლო მეცადინეობის მოწყობის მხრივ დამყარებულია დიდი წესრიგი (მტკიცე ცხრილები, სასწავლო მუშაობის და სასწავლო მეცადინეობის უფრო სწორი ორგანიზაცია).

მაგრამ, მიუხედავად ცენტრალური კომიტეტის მითითებისა ამ დადგენილებაში იმის შესახებ, რომ არც მეთოდი არ შეიძლება აღიარებულ იქნას სწავლების ძირითად, უნივერსალურ მეთოდად, სკოლების მუშაობის პრაქტიკაში გავრცელდა, რო-



გორის ქარხლის საბჭ. მეურნ. დამკვრელ ბრიგადა.

გორც ძირითადი მეთოდი; ეგრედწოდებული „ბრიგადული მეთოდი“ (მთელ რიგ სკოლებში იგი გახდა უნივერსალურ მეთოდათ), რომელსაც თან სდევდა მუდმივი სავალდებულო ბრიგადების მოწყობა, რასაც შედეგათ მოჰყვა დამახინჯება გაუპიროვნების სახით სასწავლო მუშაობაში, პედაგოგის როლის შემცირება, თვითეული მოწაფის ინდივიდუალური სწავლების უგულებელყოფა ბევრ შემთხვევაში, აღნიშნულთან ერთვის მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის ორგანიზაციის ვერ შექმნა და მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალური პირობების მოუწესრიგებლობა. ამიტომ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1932 წლის 25 აგვისტოს დადგენილება „დაწყებითი და საშუალო სასწავლიბლის პროგრამებისა და რეჟიმის შესახებ“ მიმდინარე სამოსწავლო წლის წინაშე პრინციპიალურად აყენებს სწავლების მაღალი თვისებებისათვის, შეგნებული დისციპლინისათვის და მასწავლებლისადმი ლენინური დამოკიდებულების შექმნისათვის ბრძოლის საკითხებს. ბუნებრივია, რომ ამ ბრძოლაში მოწაფეთა თვითმართველობამ და პიონერთა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ და არა მარტო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ, არამედ ბრძოლა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 1931 წლის 5 სექტემბრის და 1932 წლის 25 აგვისტოს ისტორიული დადგენილებების რეალიზაციისათვის, უნდა გადაიქცეს მათი მუშაობის ძირითად რგოლად. თვითეული მოწაფე-პიონერი უნდა იყოს დამკვრელი მებრძოლი სწავლების მაღალი თვისებების, მტკიცე შეგნებული დისციპლინის და მასწავლებლობისადმი ლენინური დამოკიდებულების შექმნის საქმეში. ამ მეტად სერიოზულ და უდიდეს საზოგადოებრივ პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე მოვალეობის წარმატებით შესრულებისათვის მოწაფეთა თვითმართველებმა და პიონერთა ორგანიზაციებმა ფართედ უნდა გამოიყენონ სოც შეჯიბრების მეთოდები: სოცშეჯიბრება, დამკვრელობა და საზოგადოებრივი ბუქსირი. თავისთავად ცხადია, რომ უპირველეს ყოვლისა ასეთი მუშაობის ჩატარებისათვის საჭიროა თვითეული მოწაფე და მოწაფე პიონერები იცნობდნენ ცეკას ზემოდასახელებული დადგენილების შინაარსს.

ამ მიზნით, რომ პიონერ-ორგანიზაციებს გაუადვილდეს ამ დადგენილების შესწავლა ჟურნალ „პიონერი“-ს რედაქცია ათავსებს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 25 აგვისტოს დადგენილების ნაწილებს.

## დაწყებითი და საშუალო სასწავლებლების პროგრამების და სასწავლო რეჟიმის შესახებ (დადგენილებები საკ.კ.პ.(ბ)ც.კ. 25 აგვისტოს დადგენილები დან)

„საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის დაწყებითი და საშუალო სკოლის დარგში უკანასკნელ წელს საგრძნობი გარდატეხა მოხდა. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებასთან და გარკვეული სასწავლო გეგმების პროგრამების და ცხრილების საფუძველზე მეცნიერების სისტემატიურ შეთვისებაზე გადაყვანასთან დაკავშირებით, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ აღმოფხვრილი სკოლის ძირითადი ნაკლი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ **„სკოლაში სწავლება არ იძლევა საკმაო მოცულობის საერთო განათლების ცოდნას, და არადამაკმაყოფილებლად ჰრის ტეხნიკუმისა და უმაღლესი სკოლისათვის სავსებით მცოდნე ადამიანების, რომლებსაც კარგად აქვთ შეთვისებული მეცნიერების საფუძვლები (ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, მშობლიური ენა, გეოგრაფია და სხვა) მომზადების ამოცანას. (საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილება).** ამის უმნიშვნელოვანეს მიზეზებს წარმოადგენენ პროგრამების (განსაკუთრებით სკოლის 5, 6 7 ჯგუფის, მეორე კონცენტრის პროგრამების), დეფექტები, სასკოლო მუშაობის არა დამაკმაყოფილებელი მეთოდები „სუსტი მეთოდური ხელმძღვანელობა განსახკომის და მათი ადგილობრივი ორგანოების მხრივ, სუსტი დისციპლინა სკოლაში, ზოგჯერ ყოველგვარი დისციპლინის და წესრიგის უქონლობა“.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი).

„აღინიშნოს, რომ ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 5 სექტემბრი დადგენილების შემდეგ სკოლაში სასწავლო მეცადინეობის მოწყობის მხრივ დამყარებულია დიდ წესრიგი (მტკიცე ცხრილები, სასწავლო მუშაობის და სასწავლო მეცადინეობის უფრო სწორი ორგანიზაციას).

მაგრამ, მიუხედავათ ცენტრალური კომიტეტის მითითებისა ამ დადგენილებაში იმის შესახებ, რომ არც ერთი მეთოდი არ შეიძლება აღებულ იქნას სწავლიბის ძირითად. უნივერსალურ მეთოდათ, სკოლების მუშაობის პრაქტიკაში გავრცელდა, როგორც ძირითადი, მეთოდი, ეგრედწოდებული „ლაბორატორიულ-ბრიგადული მეთოდი“ (მთელი რიგ სკოლებში იგი გახდა უნივერსალურ მეთოდათ), რომელსაც თან სდევდა მუდმივი სავალდებულო ბრიგადების მოწყობა, რასაც შედეგად მოჰყვა დამახინჯება, გაუპიროვნების სახით, სასწავლო მუშაობაში პედაგოგის როლის შემცირება, თვითეული მოწაფის ინდივიდუალური სწავლების უგელებელყოფა ბევრ შემთხვევაში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომებს —მოსპონ ლაბორატორიულ - ბრი-



დასასვენებელი სახლი აბასთუმანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადეული მეთოდის ეს დამახინჯებაზე და სასწავლო პროცესში სკოლაში შემდეგ საფუძველზე მოაწყონ:

ა) სამოსწავლო მუშაობის მოწყობის ძირითად ფორმას დაწყებითსა და საშუალო სკოლაში უნდა წარმოადგენდეს მოსწავლეთა ჯგუფის გაკვეთილი მეცადინეობის ზუსტად განსაზღვრული ცხრილით და მოსწავლეთა მტკიცე შემადგენლობით.

ეს ფორმა უნდა შეიცავდეს საერთო ჯგუფურ, ბრიგადულ და თვითეულ მოსწავლის ინდივიდუალურ მუშაობას მასწავლებლის ხელმძღვანელობით, სწავლების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ამასთან ყოველნაირად უნდა განვითარდეს სასწავლო მუშაობის კოლექტიური ფორმები, ოღონდ არ უნდა იქნეს შემოღებული პრაქტიკაში მუდმივი სავალდებულო ბრიგადების მოწყობა.

„მთელ რიგ შემთხვევებში სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ წესრიგის დარღვევას სკოლაში, არ იჩენენ ინიციატივას მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის. ამის გამო დაევალოს სკოლის გამგეს და პედაგოგებს — გააჩაღონ მტკიცე აღმზრდელობითი მუშაობა, იბრძოლონ წესრიგის დარღვევას სკოლაში, მოსწავლეთა (ხულიგნობას) და ამ საქმეში ჩააბან საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მშობლები, კომკავშირელთა და პიონერთა ორგანიზაციები. გამოსწორებელი მოსწავლენი, რომლებიც ეწევიან ხულიგნობას, შეურაცხყოფას აყენებენ პედაგოგიურ პერსონალს, არღვევენ სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების განკარგულებას, ამტვრევენ სკოლის ინვენტარებს, აფუჭებენ და იტაცებენ სკოლის ქონებას,—დათხოვნილ უნდა იქნან სკოლიდან და წაერთვას მათ სკოლაში შესვლის უფლება 1 წლიდან სამ წლამდე.

„საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკების განსახკომებს, საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს—ყოველნაირად უზრუნველყონ საჭირო პირობები მასწავლებლის მუშაობაში, რათა მან წარმატებით შეასრულოს საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობა სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ახალი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში. სისტემატიური მუშაობა მოსწავლეების იდეურ-პოლიტიკური დონის, საერთო განათლების და პედაგოგიური ოსტატობის ამაღლებისათვის, ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო სახკომსაბჭოს იმ დირექტივების უყოყმანოდ და სისწორით შესრულება, რომელთა საფუძველზე პროდუქტებით და სამრეწველო საქონლით მომარაგების მხრით მასწავლებელი გათანაბრებულია სამრეწველო მუშაკთან, შრომის ხელფასის თავის დროზე გაცემა, ზრუნვა მასწავლებლის ბინის, ოჯახის და დასვენებისათვის, სათუთი დამოკიდებულება მისი ყოველდღიური საჭიროებისადმი,—ყოველივე ეს უნდა ახასიათებდეს საბჭოთა და პოლიტიკური ორგანოების მიერ პარტიის დირექტივების ნამდვილად შესრულებას მასწავლებლისადმი ლენინური დამოკიდებულების საქმეში.

2. განათლების სახალხო კომისარიატმა დააწესა მასწავლებელთა გადაყვანის და დანიშვნის ზედმიწევნითი გარკვეული წესი და კადრების ისეთი განაწილება ადგილებზე, რომელიც უზრუნველყოფს გამოცდილი მასწავლებლის სწორად გამოყენებას სამუშაოზე და მათი მხრით სისტემატიური დახმარების გაწევას ახალგაზრდა მასწავლებლისათვის.

წინადადება მიეცეს ადგილობრივ ორგანოებს—არ მოწყვიტონ საზოგადოებრივ მუშაობისათვის სკოლაში მეცადინეობის წარმოება და ამ მეცადინეობისათვის მზადების დროს (მომზადება გაკვეთილებისათვის, თვითგანვითარება, მონაწილეობა კურსებზე, მეთოდური თათბირებზე. და სხვ.) კატეგორიულად იკრძალება მასწავლებლის გამოყენება სოფლის საბჭოს და რაიაღმასკომის და სხვა ორგანიზაციების სხვადასხვა ტექნიკური დავალებათა შესრულებისათვის".



ფიზკულტურა საბავშო ბაღში



სოცდაზღვევის სანატორიუმი აბასთუმანში.

# საზღვარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ეპიზოდი ს. პრეობრაჟენსკის „ახლოა დრო“-დან

მოქმედებენ: **გერმან ფინელი;**

**ეინო** } პიონერები
**ვილიამ**

**კარლ:** — მოწაფე სკაუტი;

**სკოლის მასწავლებელი;**

**ბატონი ვანკინენი**—ოფიცერი ფაშისტი.

**სერჟანტი;**

**პაულო**—ჯარისკაცი.

**ყარაული საბჭოთა საზღვარზე.**

**უცნობი.**

(სცენაზე გერმანი და ვილიამ; შემოდის ეინო).

**ეინო:** გამარჯობა ყმაწვილებო!

**გერმან:** გაგიმარჯოს. შენ იცი ახალი ამბავი?

**ვილიამ:** ჩუმად...

**გერმან:** აბა ვილიამ, ყარაულად დადექი. ახლავე გიამბობთ... ლაპუასებმა (პოლიცია) უფრო და უფრო აიმაღლეს თავი. ისევე დაიწყეს თავდასხმა და დატუსაღება...

**ვილიამ:** წარმოიდგინე, უნდათ სრულიად მოსპონ კომუნისტები...

**გერმან.** შენ კარგად ადევნე მანდ თვალყური, ვილიამ. დიდ ქალაქებში უმუშევარნი და ყმაწვილები. ქუჩებში გამოვიდენ. პლაკატებზე დაწერილი ჰქონდათ: „„მოგვეცით პური... მოგვეცით სამუშაო“... ისინი კი ტყვიებით გაუმასპინძლდენ...

**ეინო:** რატომ დაიწყეს ისევ დატუსაღება?

**გერმან:** შენ ხომ იცი... საბჭოთა ქვეყანასთან საომრად ემზადებიან... კომუნისტები კი ამჟღავნებენ ბურჟუაზიის გეგმებს მუშების წინაშე. და აი;„

(**ვილიამი უსტვინს**)

**ვილიამ:** კარლი მოდის..

**გერმან:** კარლი სკაუტია, მასთან არაფერი არ ილაპარაკოთ..

(შემოდის კარლი).

**კარლი.** გამარჯობათ, ყმაწვილებო!

**ვილიამ:** უჰუ.

**გერმან:** რამ გაგამხიარულა ასე?

**კარლო:** ოჰ, ამ წუთში გამოაკრეს განცხადებები, ჩვენს მოსაზღვრე ოლქში, სამხედრო წესებია შემოღებული. უჰ, რა მიხარია!...

**ვილიამ:** მერე რა არის გასახარელი?

**კარლ:** ეს ნიშნავს, რომ ომი იქნება. (მიდის).

**ეინო:** ხედავ, გაეხარდა!...

**გერმან:** მთავარი ისაა რომ დღეს ჩვენ საბჭოთა ყმაწვილებისაგან წერილი მივიღეთ, (აჩვენებს) ისინიც მოსაზღვრეები არიან...

**ვილიამ:** დღეს ეს წერილი სკოლაში წავიკითხოთ და მოვაწყოთ...

**ეინო:** რა?...

**გერმან:** იქ ნახავ... აბა, წავიდეთ ჩქარა...

**ეინო:** მეც თქვენთან მოვდივარ, ყმაწვილებო. (მიდიან).

(შემოდის კარლი, რომელიც შეუმჩნევლად ყურს უგდებდა).

**კარლი:** მიწერ-მოწერა აქვთ მოწინააღმდეგეებთან... ეს ხომ კომუნისტური აგიტაციაა... დიახ... (შემოდის მასწავლებელი)! ბატონო მასწავლებელო, მე თქვენ უნდა გითხრათ...

**მასწავლებელი:** გისმენ, კარლ.

**კარლ:** (ჩუმად ელაპარაკება რაღაცას ყურში).

**მასწავლებელი:** დარწმუნებული ხარ ამაში?

**კარლო:** სკაუტი გამჭრიახი უნდა იყოს. მე ძალიან კარგათ ვხედავ.

**მასწავლებელი:** მაშ, ახლავე ყველათერი მიამბე დაწვრილებით.

მერე რაზმის უფროსთან წახვალ, ბარათს გაგატან... პასუხს სკოლაში მომიტან... მე კი ჯერ-ჯერობით, ისე დავიჭერ თავს, თითქოს არაფერი არ ვიცი... წავიდეთ... (მიდიან).

(საკლასო ოთახი. **ეინო, ვილიამ, გერმან, ლაინა**).

**ეინო:** შეხედეთ, რამდენა ბავშვებია! (აჩვენებს მაყურებლებისაკენ).

**ვილიამ:** მასწავლებელი ყოველთვის იგვიანებს... აბა, დაიწყე გერმან.

**გერმან:** (მაყურებლებს) წყნარად ყმაწვილებო, მე ვიცი, რომ გამცემი აქ არ გვერევია. სმენა! დღეს ჩვენ საბჭოთა ბავშვებისაგან წერილი მოგვივიდა. ისინი გვწერენ თავიანთ მუშაობის შესახებ... გვწერენ როგორ ეხმარებიან თავიანთ მამებს ახალი ცხოვრების შესაქმნელად; გვწერენ, რომ ჩვენც ვიბრძოლოთ საბჭოთა ქვეყნის დაცვისათვის.

**ლაინა:** დღეს ბრძანება გამოაკრეს სამხედრო წესების შესახებ.

**გერმან:** ყმაწვილებო, დღეს უსათუოდ საუბარს, გაგვიმართავენ ომის შესახებ. ჩვენც უნდა ვთქვათ ჩვენი პასუხი.. გვინდა თუ არა ჩვენ, რომ მოსპონ პროლეტარული სამშობლო—საბჭოთა ქვეყანა? მიპასუხეთ ყმაწვილებო!

(**დარბაზი პასუხს აძლევს**)

**ეინო:** არა არ გვინდა.

**გერმან:** დიახ ჩვენ არ გვინდა, და გვაქვს კიდევაც ხმის უფლება. ჩვენ ვუპასუხებთ იმათ. სმენა ყმაწვილებო!... დღეს ჩვენ ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გავმართეთ, მაგრამ ყველაფერი ორგანიზაციულად უნდა ჩავატაროთ. მიყურეთ მე და, როდესაც მარცხენა ხელს ავწევ, ყველამ ერთსულოვნად უნდა დაიძახოთ: „შორს ხელი საბჭოთა ქვეყნისაგან“. მოდით რეპეტიცია გავაკეთოთ... მაგრამ ჯერ ჩუმად... ჩურჩუ-



კოლმეურნეობაში

ლით გავაკეთოთ რეპეტიცია. (რეპეტიციას აკეთებენ). შემდეგ კი, როდესაც საჭირო იქნება, რაც ძალლონე შეგვწევს, ხმა მაღლა ვთქვათ.

**ვილიამ:** გერმან, მასწავლებელი მოდის. (შემოდის მასწავლებელი).

**მასწავლებელი:** აბა გაკვეთილს შევუდგეთ. ნუ ხმაურობთ. ლაინა, მოდი აქ, (ლაინა მოდის) შენ რისთვის განაგრძობდი ლაპარაკს, როდესაც მე გიბრძანეთ, დაჩუმებულიყავით. შემდეგში აღარ გაბედო ამგვარად მოქცევა. რაზე შევჩერდით უკანასკნელ გაკვეთილზე?

**ლაინა:** ჩვენ შევჩერდით...

**მასწავლებელი:** დაიცა, დროს ჩვენ სხვა რამეზე ვისაუბროთ. თქვენ წაიკითხეთ სამხედრო ბრძანება?

**ლაინა:** დიახ... წავიკითხე...

**მასწავლებ.** დაჯექი. მე მსურს აგიხსნათ ჩვენი მოვალეობის შესახებ სამშობლოს წინაშე. გერმან რა არის ნათქვამი ბრძანებაში?

**გერმან:** სამხედრო წესების შესახებ...

**მასწავლებ.:** როდის აცხადებენ ხოლმე სამხედრო წესებს?

**გერმან:** ომის წინ.

**მასწავლებელი:** დიახ, ომის წინ. დიადი ომის წინაშე ვდგევართ. იცით, თქვენ, ვის წინააღმდეგ იქნება ომი?

**ეინო:** საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

**მასწავლებ.** დიახ, სწორედ იმ საშინელი ქვეყნის წინააღმდეგ.

**ლაინა:** შეიძლება ერთი რამ გკითხოთ, ბატონო მასწავლებელო?

**მასწავლებელი:** შეიძლება.

**ლაინა:** რისთვის უნდა მოხდეს ეს ომი? რას გვიშლის ჩვენ საბჭოთა კავშირი.

**მასწავლებელი:** თქვენ გინდათ გაიგოთ, რისთვის ვემზადებით საომრად? ყური უგდეთ, რას ამბობენ ჩვენი გაზეთები... (სცენაზე ორივე მხრიდან შემორბის ორი რეპორტიორი, ხელში გაზეთები უჭირავთ. კითხულობენ).

**1-ლი რეპორტ.:** საბჭოეთი—მთელი ქვეყნიერების მტერია. იმიტომ, რომ ჩვენ საქმე გაგვიფუჭოს, მთელ ევროპაში მოაზღვავეს თავიანთი საქონელი და თავის საზარალოდ, დაბალ ფასებში ჰყიდიან.

**ეინო:** საბჭოთა კავშირი პირდაპირ ყელზე დაადგა ბანკირებს.

**1-ლი რეპორტ.** გამოვუცხადოთ ომი საბჭოთა მხარეს.

**მე-2 რეპორტ.** ბოლშევიკები — ეს მძვინვარე მხეცებია. იძულებითი შრომას აწარმოებენ იქ.

**გერმან.:** გაჩუმდი ერთი, სულერთია, არავინ დაგიჯერებს არც აქ, არც იქ, არც არსად.

**მე-2 რეპორტ.** ხალხი ბორკილებით ჰყავთ, შებორკილი, გლეხებს მათრახებს ურტყამენ ზურგზე. ასწიეთ მაღლა ფაშისტების დროშა, ომი გამოვუცხადოთ საბჭოთა ქვეყანას.

**გერმან:** ყველაფერი ტყუილია, ჩვენ ვიცით სიმართლე. თქვენთვის პასუხი გვაქვს. (სწევს მაღლა ხელს).

**დარბაზი.** ხელი შორს საბჭოეთისაგან!

**მასწავლებ.** ეს რა ამბავია? აჯანყებაა? შეთქმულებაა აქ? კომუნისტებია? თქვენ, რომლებმაც უნდა სამშობლო დაიცვათ..

**ეინო:** თქვენ გინდათ თქვათ, რომ ჩვენ უნდა ჩავახშოთ პროლეტარიატის სამშობლო...

**მასწავლებელი:** მე მიპასუხეთ... (გერმან სწევს ხელს).



სპორტი. ბათუმი

**დარბაზი:** ხელი შორს საბჭოეთისაგან!

**მასწავლებელი:** ძალიან კარგი, არ დაივიწყოთ, რომ თქვენ [illegible] ზოლში იმყოფებით, სად[illegible] რო წესებია გამოცხადებული...

(შემოდის **კარლი**).

**კარლი:** ბატონო მასწავლებელო... ჩემთან ერთად ფაშისტების რაზმის სერჟანტი მოვიდა.

**მასწავლებელი:** ძალიან კარგი, შენ ნამდვილი შვილი ხარ შენი სამშობლოსი. ნამდვილი სკაუტი ხარ. მე ვიშუამდგომლებ რომ დაგაჯილდოვონ.

(შემოდის სერჟანტი).

**სერჟანტი:** სკოლის შენობა ალყაშემოვლებულია.

**მასწავლებელი:** კარგ დროს მოხვედით. ესენი რევოლუციას აწყობენ აქ.

**სერჟანტი:** ნება მომეცით, ჩემი მოვალეობის შესრულებას შევუდგე.

**მასწავლებელი:** ინებეთ. დიდი მადლობელი ვიქნები თქვენი, თუ მეთაურებს აღმოაჩენთ. უთუოდ პიონერები იქნებიან.

**სერჟანტი:** ახლავე ყველაფერს გამოვარკვევთ. (დარბაზს) ხმა გაიკმინდეთ! ყველას, ვინც წინააღმდეგობას გაგვიწევს სამხედრო - საველე გასამართლება მოელის. ჩვენ ცნობა გვაქვს, რომ თქვენ საბჭოთა კავშირიდან გამოგზავნილი წერილი გაქვთ. წინადადებას გაძლევთ, გვითხარით ვისა აქვს ეს წერილი... მე ვითვლი სამამდის. ერთი... ორი... სამი... აბა, ვისა აქვს წერილი?

**ეინო:** ჩვენში გამცემი არ შეიძლება იყოს ვინმე!

**სერჟანტი:** სულერთია წერილს ახლავე ვიპოვნი. მითხარით, ვისა აქვს? სკაუტო კარლო, დაადასტურეთ თქვენი ჩვენება.

**კარლი:** წერილი გერმანს და ვილიამს აქვს.

**ლაინა:** საზიზღარი გამცემი!

**სერჟანტი:** ხმა გაიწყვიტე, წამოდექით სამივენი წინ. (ყმაწვილები გამოდიან).

**მასწავლებელი:** მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ესენი აფუჭებენ სხვებს. მგონია მათი მშობლებიც არ არიან კეთილსაიმედონი...

**სერჟანტი:** დამშვიდებით ბრძანდებოდეთ, ბატონო მასწავლებელო. ჩვენ ვიცით, როგორ ამოვგლიჯოთ სარეველა ბალახი ძირიან - ფესვიანად. ბადრაგეულო (შემოდის პაული). წაიყვანეთ ესენი რაზმში და ოფიცერ ვანკინენს მიუყვანეთ. იცოდე ,პასუხს აგებ.

**პაული:** გისმენთ, ბატონო სერჟანტო.

**სერჟანტი:** ბატონი ოფიცერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიცრობ ინებებს თქვენთან პირადად მოლაპარაკებას. აბა. გასწით! წით!

**გერმან:** ამხანაგებო....

**სერჟანტ:** ხმა გაიწყვიტე, გეყოფა, რაც ილაპარაკე შე ლეკვო.

(პაულოს მიჰყავს ყმაწვილები დარბაზში. დარბაზში მაყურებელთა შორის).

**ვილიამ: (მღერის)** ვერას დაგვაკლებს მტერი ვერანი...—აბა ყმაწვილებო ბანი!

**მთელი დარბაზი:** ვერ აღუდგება
ვერ აღუდგება თავისუფლებას
ჩვენ ვიხსნით ჩაგრულ მშრომელთა მასებს
შევქმნით საბჭოთა ხელისუფლებას.

**სერჟანტი:** ვნახავ აგერ, როგორ ამღერდებით.

(ფარდა ეშვება. ფარდის ქრილიდან გამოდის ავანსცენაზე წამკითხავი).

**წამკითხავი:** გიხაროდეთ, ბატონო ნასწავლებელო! დამნაშავენი იქ ეთ ბრჭყალებში ჩაცვივდენ, რომ, ჩქარა ვერ დააღწევენ თავს. ისინი მოსაზღვრე ზოლის ფაშისტთა რაზმში წაიყვანეს. ბატონი ვანკინენი საჭედრო წესების მიხედვით გაასამართლებს მათ, როგორც საჭიროდ დაინახავს და გასამართლება იქნება სწრაფი და მკაცრი. მხოლოდ ტყუილად არ წაჰყვა მათ თვითონ ერთგული სერჟანტი. ტყუილად... მართალია ჯარისკაცს პაულოს, რომელიც ბავშვებს გაჰყვა, არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. არც ეჭვი აქვს ვისმეს იმაში, რომ ის ბოლშევიკებს თანაუგრძნობდეს, მაგრამ, პაულო არ არის გამობრძმედილი წევრი ფაშისტების ორგანიზაციისა. პაულო ფინლანდიის არმიის უბრალო ჯარისკაცია. სერჟანტს, რომ სცოდნოდა, რომ გზაში მობადრაგემ, არც ერთხელ არ წაუთაქა ტუსაღებს, უკმაყოფილო დარჩებოდა. რასაკვირველია პაულოსაც კარგად მოხვდებოდა. სერჟანტს რომ გაეგონა ის, თუ რაზე ესაუბრებოდენ ყმაწვილები თავის მობადრაგეს. ტყუილად თვითონ სერჟანტი არ წაჰყვა ტუსაღებს. მაგრამ ბატონ სერჟანტს, გამარჯვების შემდეგ, ერთი ჩარექა ლუდის დალევა მოუნდა... ახლა ის თბილ, ნათელ ლუდხანაში ზის. პაულომ კი გზაში ნება მისცა ბავშვებს, ჩამომსხდარიყვნენ გზის პირას ხის მორზე; და ცოტათი დაესვენათ. პაულოს ეს არ უნდა გაებედნა, მაგრამ ლაინა ისეთი ფერმკრთალი და სუსტია, და ისე ჰგავს თვითონ პაულოს გოგონას... (მკითხველი ისევ გადის ფარდაში; შემდეგ ფარდა იხსნება. სცენაზე პაულო, ლაინა, ვილიამ და გერმან სხედან მორზე).



**პაულო:** აბა, რისთვის დაგჭიროდათ ასეთი დომხალის არევ-დარევა?

ახლა თქვენც უნდა იტანჯოთ და თქვენ მამებსაც კეთილს არ დააყრიან.

**ვილიამ:** ჩვენ მამებს არც ფული აქვთ, არც სამუშაო. დასაკარგი არაფერი აქვსთ.

**პაულო:** (დგება) გავათავოთ ეს ლაპარაკი. ამ სიტყვებს კომუნისტებიც ამბობენ და სამადიოროდ ... თვის ხვდებათ ... აბა, მივდივართ.

**ლაინა:** კიდევ ცოტა, სულ ცოტა ხანს... ფეხები არ მიდიან.

**გერმან:** წავიდეთ, ლაინა. ჩვენ დაგეხმარებით.

**ვილიამ:** წავიდეთ.

**პაულო.** კარგი, არა უშავს, იჯექით კიდევ ცოტა ხანს. მხოლოდ ამგვარ ლაპარაკს თავი დაანებეთ, თორემ გაიგონებს ვინმე, დაგვაბეზღებს... (პაუზა).

**გერმან:** მართალია, ომი ჩქარა დაიწყებაო?

**პაულო:** ეს უფროსების საქმეა. — ჩვენ პატარა ხალხი ვართ: გვიბრძანებენ, ჩვენც მივდივართ.

**ლაინა:** მერე სულერთია ვის წინააღმდეგ?

**პაულო:** როგორ თუ ვის წინააღმდეგ... ახლა მხოლოდ ერთი ომაა შესაძლებელი: საბჭოთა წინააღმდეგ...

**ვილიამ:** მერე რისთვის? რატომ საბჭოთა წინააღმდეგ? რისთვის და ვისთვის არის საჭირო ეს ომი?

**პაულო:** ბატონმა სერჟანტმა ძალიან კარგად აგვიხსნა ჩვენ ეს... ერთი რომ ბოლშევიკები ძალიან ჩაგრავენ რუსეთში მცხოვრებ ფინებს.

**ლაინა:** ეგ ზღაპარი ჩვენ სკოლაშიაც გვიამბეს.

**პაულო:** მაშ რაღას კითხულობთ?

**გერმან:** არა, შენ გვითხარი, შენთვის საჭიროა ომი?

**პაულო:** მე რა ეშმაკად მინდა! განა მე თავადი ვარ, ან მებამულე? არა, ჩემთვის ომი არ არის საჭირო.

**ვილიამ:** წასვლით კი წახვალ მორჩილი ცხვარივით... აბა, რა უნდა მოიგო ომით? მოგკლავენ, დაგამახინჯებენ. ბავშვები ობლად დაგრჩება... მერე რისთვის?

**ლაინა:** გერმანულ კომუნისტურ გაზეთში წავიკითხეთ, თუ რათ უნდა ბურჟუაზიას ომი. გერმან, გახსოვს?

**გერმან:** „უმუშევრები სანგრებში"?

**ლაინა:** ჰო, ჰო, წაიკითხე;

**გერმან:** უმუშევრები გავგზავნოთ სანგრებში!

სამუშაოს იქ იპოვნიან.

უნდა დაიცვან ევროპა სისხლით, და ოფლით.

ქარხნებში მოდის შეკვეთა,

მაგრამ არ ჰყოფნის მუშა - ხელი.

ზარბაზნების, ყუმბარების, ვაზნებისა და აირის გასაკეთებლად .

**ვილიამ:** კაპიტალისტები სხვაგვარ მოსაგებზე ოცნებობენ. ისინი ოცნებობენ საბჭოთა რუსეთის სიმდიდრე წაიღონ.

**პაულო:** არა მგონია, რომ ეს მოახერხონ. ვნახოთ ჯერ რას იტყვიან მუშები და ჯარისკაცები.

**გერმან:** შენ რას იტყვი? წახვალ და შეასრულებ კაპიტალისტების ნებას?

**პაულო:** მე რას ვიტყვი? მე ვიცი, რასაც ვიტყვი... იქნება თქვენ ფიქრობთ ყმაწვილებო, რომ თქვენ ამიხილეთ თვალები. არა, მართალს გეტყვით. ამ საქმის შესახებ გვქონ-



და ლაპარაკი ჯარში... რასაკვირველია, არც სერჟანტი და არც ბატონი აფიცერი არ დასწრებია; ომი თუ იქნა. მაშინ... რაც იქნება, თვითონ ნახავთ...

**ლაინა:** არა, თქვი, თუ ომი ატყდა, წახვალ საბჭოთა წინააღმდეგ საომრად, თუ არა.

**პაული:** არა. ის მე ვიცი, ვის წინააღმდეგაც მივაბრუნებ თოფის პირს. ეჰ, არაა ეს კარგი, ყმაწვილებო... ამაღელვეთ...

**ვილიამ:** რა არ არის კარგი?

**პაული.** აი, ის, რომ ვიბაასეთ კარგად... ვილაპარაკეთ ჩვენი ენით, და იქ კი უნდა წავიყვანოთ... გაგცეთ...

**ლაინა:** განა შენ ხარ აქ დამნაშავე?

**პაული:** მე მინდა გითხრათ: „გაიქეცით ყმაწვილებო"-მეთქი. უნდა გითხრათ, ეს კიოიაც...

**ვილიამ:** ჩვენ გვჯერა შენი სიტყვები. აჰა საბჭოთა ყმაწვილების წერილი. იწერებიან, როგორ იზრდება მათი ქვეყანა, როგორ მუშაობენ... წაიღე ეს წერილი თან. შენ გქონდეს.

**პაული:** კარგად შევინახავ. მერე ჩემ გოგონას გავუგზავნი.. ისიც თქვენოდენაა...

**ლაინა:** ახლა გაუგზავნე. ისეთ ძალ-ღონეს ვგრძნობ, რომ არაფრის არ მეშინია.

**პაული:** წავიდეთ ყმაწვილებო! (მიდიან).

(ფარდა იხურება. ფარდის ჭრილში გამოდის წამკითხველი:)

**წამკითხველი:** მიდიოდა ოთხივე. როგორც გულითადი მეგობრები... ფიქრებში გართულნი ცოტას ლაპარაკობდნენ. როდესაც გზა გაიარეს, ადგილზე მისვლისას თავს მხნედ და ყოჩაღად გრძნობდნენ. უნდოდათ ჩქარა შეხვედროდნენ მტრის თვალებს და დაენახვებინათ მისთვის, რომ სრულიად არ ეშინოდათ გასამართლების... მათი მოსვლის შემდეგ მოვიდა სერჟანტი. შეამოწმა ტუსაღები და წავიდა ოფიცერ ვანკინენთან მოხსენების გასაკეთებლად. (წამკითხველი მიდის ფარდის უკან. ფარდა იხსნება).

**სერჟანტ:** პატივი მაქვს მოგახსენოთ, ბატონო ოფიცერო, რომ სკოლაში ბუნტი ჩავაქრეთ. მეთაურები დავიჭირეთ და აქ მოვიყვანეთ.

**ოფიცერი:** ეშმაკმა იცის რა ხდება. ჩქარა ბაგებში მოგვიხდება სიარული. და გამდლების მაგიერობის გაწევა.

**სერჟანტი:** სრული სიმართლეა. ბატონო ოფიცერო.

**ოფიცერი:** ტუსაღებს რამე მასალა აქვთ?

**სერჟანტ:** საბჭოთა პიონერების წერილი.

**ოფიცერი.** წერილი თქვენთან არის?

**სერჟანტი:** სრულიადაც არა, ბატონო ოფიცერო. წერილი მათ აქვთ.

**ოფიცერი.** ტუტუცო... უნდა ადგილობრივ გაგეჩხრიკათ და საბუთები გამოგერთმიათ. იქნება იარაღიცა აქვთ. მოიყვანეთ ტუსაღები აქ.

(სერჟანტი გადის).

**ვანკინენი:** დადის და ღიღინებს).
მიყვარს ზაფხულის ყვავილი.
მიყვარს მე გაზაფხულის ია...

(სერჟანტს შემოყავს ყმაწვილები).

**სერჟანტი.** ტუსაღები აქ არიან, ბატონო ოფიცერო!

**ოფიცერი.** გაჩხრიკეთ!

(სერჟანტი ჩხრეკავს).

**ოფიცერი:** (ღიღინებს) მე მიყვარს გაზაფხულის ია.

ბავშობის ოცნებს მიდგას თვალწინ...

(უყურებს ბავშებს) თქვენ გეძახიან ბოლშევიკები ცხოვრების ყვავილებს? ჰმ... ძალიან ყვავილები კი ხართ, ნაყოფი, რომ მომწიფდება. რაღა იქნება ნეტავი?

**ვილიამ:** მწარე იქნება. არ მოგეწონებათ...

**ოფიცერი.** მართალია... მართალი... გაათავეთ ჩხრეკა?

**სერჟანტი:** დიახ, ბატონო ოფიცერო. იარაღი არ აღმოაჩნდათ, ვიპოვე ორი ფანქარი... და რეზინა.

**ოფიცერი:** წერილი?

**სერჟანტი:** წერილი არ არის.

**ოფიცერი:** (მიდის სერჟანტთან, უყურებს თვალებში და ხელს მოუქნევს საცემად). ბრიყვი, წადი. მე თვითონ მოველაპარაკები (სერჟანტი მიდის). აბა, სად არის წერილი?

**გერმან:** მოუძებნეთ იმას, ვინც წერილის შესახებ გიამბოთ.

**ოფიცერი:** აჰა, საქმე როგორი ყოფილა... მე თქვენი თავი არ მაქვს. პოლიციის მოხელე როდი ვარ. მოდი, პირდაპირ ვილაპარაკოთ. წერილი აქ უნდა იყოს. თუ თქვენ გაჯიუტდებით, მე ვუბრძანებ სერჟანტს. ცოტათი გეგეთამაშოთ თქვენ.

**გერმან:** თქვენ შეგიძლიათ მოიქცეთ ისე, როგორც გსურთ, მაგრამ წერილი ჩვენ არ გვაქვს.

**ოფიცერი:** ძალიან კარგი. სერჟანტო! (შემოდის სერჟანტი), დაუძახეთ აქ, ვინც ესენი მოიყვანა.

**სერჟანტ.:** ახლავე, ბატონო ოფიცერო! (გადის).

**ოფიცერი:** თქვენ გგონიათ, რომ შეგიძლიათ ჩემი მოტყუება?

(შემოდის პაული). შენ მოიყვანე ტუსაღები?

**პაული:** დიახ, მე მოვიყვანე!

**ოფიცერი:** ვერაფერი საეჭვო ვერ შეამჩნიე, ხომ არაფერი გადაუგდიათ გზაში ტუსაღებს?

**პაული:** არა, არაფერი.

**ოფიცერი:** წერილი არ გინახავს?

**პაული:** არა! არავითარი წერილი არ ყოფილა.

**ოფიცერი:** სულელო... დაიკარგე აქედან! (პაული გადის). სამწუხაროა, რომ მოახერხეთ და სადღაც გადამალეთ წერილი. მაგრამ სულერთია ვერაფერს გიშველის. პიონერები ხართ?

**ყმაწვილები:** დიახ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ოფიცერი:** თქვენ ბუნტის მოხდენას აპირებდით სკოლაში! მამებისაგან აიღეთ მაგალითი?

**ვილიამ:** მერე რა არის, ეს ხომ კარგი მაგალითია!

**ოფიცერი:** ხმა გაიკმინდე! თქვენ გასასრესი ხართ ბაღლინჯოსავით ჩექმით.

**გერმან:** გაფრთხილდით ფეხი არ დაგიცდეთ, დაეცემით.

**ოფიცერი:** რაო, ჩემთან ლაპარაკს ბედავ... (სცემს) აჰა, შენ ნამდვილი გაკვეთილი! თქვენ დაგავიწყდათ, რომ სამხედრო წესია აქ. როგორც ჯაშუშები და გამცემლები ყველა ჩამოსახრჩობი ხართ. ბოლშევიკებს, უნდა მაჰყიდოთ სამშობლო! თქვენ საპყრობილეში; სარდაფში ჩაგაძაღლებთ; ყვავილები კი არა, სოკოები ხართ,ობი... მე თქვენ განახავთ, რომ ჩემ წინაშე ხოხავდეთ და ჩემ ჩექმებს ჰკოცნიდეთ... მე თქვენ აგაყვირებ...

**ვილიამ:** გაუმარჯოს რევოლიუციას!

(ვანკინენ გაშტერდება. ნელა იღებს რევოლვერს, სწევს მაღლა და უმიზნებს.

**ოფიცერი:** მე თვითონ... თვითონ მე...

(შემოდის სერჟანტი).

**სერჟანტი:** ბატონო ოფიცერო, პატივი მაქვს მოგახსენოთ, ერთ კაცს თქვენი ნახვა სურს.

**ოფიცერი:** ვინ არის?

(შემოდის უცნობი).

**უცნობი:** საჭირო არ არის ჩემი გვარი გითხრათ. ის ჯილაფერს გეტყვით. (აძლევს დაბეჭდილ კონვერტს და ფართეთ იხსნის პალტოს. გულზე ფაშისტის ნიშანი აქვს).

**ოფიცერი:** ძალიან მოხარული ვარ. მიმსახურით... უკაცრავად... (სერჟანტს) წაიყვანეთ ესენი, აქ გვერდის ოთახში. მე კიდევ მოველაპარაკები მაგათ...

(სერჟანტს მიჰყავს ყმაწვილები სცენის მეორე მხარეს).

**სერჟანტ.:** იჯდით აქ. (მიდის).

**გერმან:** შენ გეშინია, ლაინა?

**ლაინა:** არა, მე მხოლოდ გული დამიცხრიალდა უცებ, თითქოს რაღაცა მოსწყდა...

**ვილიამ:** ის ფაშისტი უთუოდ დიდი ციმბია...

**გერმან:** აქ რაღაც საიდუმლოება არის.

**ვილიამ:** ყმაწვილებო, კედელი ძალიან თხელია. ყური რომ მივადოთ. ყველაფერს გავიგონებთ... (ყურს უგდებენ).

**ოფიცერი:** დიახ... თქვენი როლი ძალიან საშიშოა.

**უცნობი:** რასაკვირველია სათვალთვალო მომიწევს, მაგრამ სამაგიეროდ, თუ მოვახერხე... საბედისწერო იქნება ბოლშევიკებისათვის.

**ოფიცერი:** თქვენთვის ადვილია საჭირო, რომ პირველ დღეებში თავი შეაფაროთ.

**უცნობი:** დიახ! და სწორედ ამის შესახებ მინდოდა მეთხოვნა... იქით, მოშორებით კი მყავს მეგობრები, მაგრამ აქ, საზღვართან...

**ოფიცერი:** თქვენ გახვალთ სოფელ სტოლპთან... ახლა იქ კოლმეურნეობაა „წითელი მოსაზღვრე". იქ არის ლუკა...

**უცნობი:** ლუკა?

**ოფიცერი:** დიახ. მან უკვე რამდენიმეჯერ გაგვიწია სამსახური... ძალიან ეშმაკი გლეხია.

**უცნობი:** ძალიან კარგი.

**ოფიცერი:** ტანისამოსი უნდა გამოიცვალოთ.

**უცნობი:** დიახ... ამას გარდა თქვენ კაცი უნდა მომცეთ, საზღვრამდის გამომყვეს.

**ოფიცერი:** წავიდეთ! (გადიან).

**გერმან:** ყმაწვილებო... ჩვენ კი აქ ვზივართ...

**ვილიამ:** ძალიან კარგია, რომ ვზივართ, — თორემ არაფერი არ გვეცოდინებოდა.

**ლაინა:** ყმაწვილებო, ის კაცი ხომ ჯაშუშია. საზღვარზე უნდა გადავიდეს, რა კარგი იქნებოდა, ახლა რომ გავიქცეთ...

**გერმან:** არაფერი არ გამოვა... აქ ყოველ ფეხისგადადგმაზე ყარაულებია... ჩუმად, ყმაწვილებო!

**ოფიცერი:** (შემოდის გადაცმულ უცნობთან ერთად) ამ ტანისამოსში ვერავინ ვერ გიცნობთ!

**უცნობი:** დარწმუნებული ხართ?

**ოფიცერი:** გამოვცადოთ. (არახუნებს, შემოდის სერჟანტი).

როგორ გაბედეთ და ეს გლეხი შემოუშვით აქ?!

**სერჟანტი:** ნება მიბოძეთ, ბატონო ოფიცერო და მე ვაჩვენებ მას გასასვლელ კარებს. (უნდა ხელი წაატანოს).

**ოფიცერი:** შეხედეთ კარგად, სერჟანტო!

**სერჟანტი:** ეს რა ამბავია, ეს ხომ ის კაცია...

**ოფიცერი:** საუცხოვოა, საუცხოვო! ახლა მოიყვანე აქ ის მოხუცი...

(სერჟანტი გადის).

**უცნობი:** მე დიდი ხანია ვსწავლობ ჩემ როლს. ჩემი ცოლ-შვილი... კოლმეურნე ვარ... ლისუფლებას ვიცავ კლდესავით. მე... (შემოდის პაული) მე ბოლშევიკი ვარ.

**ოფიცერი:** საუცხოვოა.

**უცნობი:** შესაძლებლობა მომეცით, მივიდე ადგილას და იქ მე გაჩვენებთ, ვინც ვარ. მშვიდობით, ბატონო ვანკინენ.

**ოფიცერი:** (პაულოს) აბა, გააცილე ეს გლეხი საზღვრამდის. შემდეგ დაბრუნდი და ყველაფერი მომახსენე. აი, ნებართვა... ნახვამდის (მიდის.)

(ფარდა იხურება. ჭრილში გამოდის **წამკითხველი**).

**წამკითხველი:** ღამეა. ბნელი—ბნელი. საზღვარზე სიჩუმეა. მაგრამ სიჩუმეა კი. კარგად უყურეთ, ყარაულებო. დაუგდეთ ყური, ხომ არ ისმის რამ ჩამიჩუმი, ხომ არ ისმის ჯაშუშის ფრთხილი ნაბიჯებით ჩინჩხვარის მტვრევა.

(მკითხველი მიდის. ფარდა იხსნება, საზღვარი, სვეტი. სიჩუმე. ნელა და ფრთხილად გამოდის ორი: უცნობი და პაულო... გაჩერდებიან).

**პაულო:** საზღვარი აქ არის.

**უცნობი:** გადაეცი შტაბში, რომ გადავედი.

(გადის საზღვარზე).

**პაულო:** (იღებს თოფს. ისვრის) სტყუი!

**უცნობი:** (ეცემა). პაულო გადარბის საზღვარზე;

**ყარაული:** გაჩერდი! ვინ ხარ?

**პაულო:** მეგობარი. (აგდებს თოფს და ხელებს მაღლა სწევს; ყარაული მიდის მასთან.) ეს ვინღაა? (აჩვენებს უცნობს).

**პაულო:** ეს ჯაშუშია.

**ყარაული:** წავიდეთ საყარაულოში, იქ გავარკვევთ. აბა ადექი!

**უცნობი:** აი დასწყევლოს... ყველაფერი გათავდა. **ნ.**

(ფარდა)



ფასი 30 კაპ.


საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი—ბავშთათვის

წელიწადი VIII

# „პიონერი“

წელიწადი VIII

გამოდის თვეში ორჯერ

„პიონერი“ ემსახურება ბავშების კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს.
„პიონერის“ ამოცანაა—თავის ირგვლივ შემოკრიბოს ბავშთა ფართო მასები.
„პიონერ“-ში სისტემატიურად მოთავსდება წერილები, ლექსები, მოთხრობები და მხატვრული ნარკვევები მიმდინარე პოლიტიკური კამპანიების შესახებ.
„პიონერი“-ს მთელი შინაარსი და ხასიათი შეფარდებულია სოციალისტური მშენებლობის მიერ დასმულ საკითხებთან.
„პიონერს“ უნდა კითხულობდეს ყოველი პიონერი და ხელს უწყობდეს მის ფართოდ გავრცელებას შეუკავშირებელ ბავშთა შორის.

ხელის მოწერის პირობები: 1 წლით 8 მან., 1/2 წლით 4 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

## ხელის მოწერა მიიღება:

1. ტფილისში—პერიოდსექტორში—რუსთაველის პროსპ. № 34.
2. სახელგამის ტფილისის და პროვინციის მაღაზიებში.
3. სათანადო უფლებით აღჭურვილ რწმუნებულებთან.
4. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი—მცირეწლოვან ბავშთათვის

წელ. მე-6

# „ოქტომბრელი“

წელ. მე-6

(ყოველთვიური)

„ოქტომბრელი“ ემსახურება ოქტომბრელთა კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს.

„ოქტომბრელი“ ბავშებისათვის 7—10 წლამდე პოპულიარული ენით აშუქებს სოცმშენებლობის საკითხებს, პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასმულ ყოველგვარ ამოცანებს და მიმდინარე კამპანიებს.

„ოქტომბრელი“ აწვდის ჩვენს ბავშებს ცნობებს უცხოეთის ბავშთა რევმოძრაობისა და მდგომარეობის შესახებ.

ხელის მოწერის პირობები: 1 წლით 4 მან.
1/2 „ 2 „ ცალკე ნომერი 50 კაპ.

## ხელის მოწერა მიიღება:

1. ტფილისში—პერიოდსექტორში—რუსთაველის პროსპ. № 34.
9. სახელგამის ტფილისის და პროვინციის მაღაზიებში.
3. სათანადო რწმუნებით აღჭურვილ რწმუნებულებთან.
4. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.



გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა კამოს ქ. № 68. მთავლ. რწმ. გ. № 27. შეკვ. № 2888. ტირაჟ 3100




ეროვნული ბიბლიოთეკა